№ 2948
შაბათი,
12 ნოემბერი

# ცნობის ფურცელი

№ 2948
შაბათი,
12 ნოემბერი

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—26)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

შიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

**მ. გ. ალაჯანოვი.** 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი.** 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

**პ. ნ. დემიდოვი.** 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

**გ. ა. ტატევოსოვი.** 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ი. ე. ავეტისოვი.** 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

**მ. პ. კიმონტი.** 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

**მ. რ. ელჩიევი.** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

**პ. ა. ბეიერი.** 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—25)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—27)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.
კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—25)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—26)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7^1/_2$ საათ. (თვ.—9)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—9)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ.
(თვ.—406—20)

განცხადება
ტფილისის ქალაქის გამგეობა, მეეტლეთა შესახებ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 § მუხლის თანახმად, ნიშნავს არჩევნებს მეეტლეთა სტაროსტისას ამა ნოემბრის 18-ს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში და ამიტომ სთხოვს ყველა მეეტლეთ მობრძანდნენ აღნიშნულ დროს გამგეობაში ბლიახებით და სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით არჩევნების მოსახდენად. (ნ. 1—1)

რეკომენდაცია და გე
შემიძლიან წარმოვადგინო
ვეძებ ადგილს მოურავისას, ქალაქის ან სოფლის მამულში ადგილობრივ ან მოსიარულე აგენტად; სავაჭრო სახლებთან და სხვა. იკითხეთ „ცნობ. ფურც“.-ს რედაქციაში. (1—1)

### ტფილისი, 12 ნოემბერი.

**ახალი ძალა.** მაშინ, როდესაც იდეოლოგები მშრომელ ხალხის ერთი ნაწილისა მედიდურად გაიძახოდნენ, რომ ერთად-ერთი რევოლიუციონური ძალა, ერთად-ერთი ნამდვილი დამცველი მშრომელ ხალხისა არის პროლეტარიატი, თურმე ნუ იტყვით, მიყრუებულ სოფლებში მზადდებოდა, იზრდებოდა და ძლიერდებოდა ახალი ძალა, რომლის უარყოფისათვის ზოგიერთებმა არა ერთი საწერელი ამოაშრეს. ეს ძალა გახლავთ მშრომელი გლეხი, ის გლეხი, რომელიც რუსის ინტელიგენციისათვის საიდუმლო, გამოუცნობელი სფინქსი იყო.

დღეს სფინქსმა ხმა ამოიღო და თვით ამცნო ახსნა იმ ამოცანისა, რომლადაც სთვლიდნენ იმას. დღეს გამოშკარავდა, რომ გლეხი ამოცანა-კი არ ყოფილა, არამედ რუსეთის ისეთივე მცხოვრები, როგორნიც სხვანი არიან. დღეს გამოქვეყნდა, რომ გლეხი, რომლის მოთმინებასაც ქება-დიდება ასხამდა რუსული პოეზია და მუხლს იდრეკდა მის დიდ სულოვნების წინაშე, ისევე გრძნობდა პოლიციურ რეჟიმის ეკლების ჩხვლეტას, როგორც სხვა.

დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ გლეხის ცნობიერება ისევე ვითარდებოდა, როგორც რუსეთის დანარჩენ ქვეშევრდომებისა: გლეხი სხვასავით ატარებდა გულში უკმაყოფილებას ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ, სხვასავით ეტრფოდა მოქალაქობრივ თავისუფლებას, დამყარებულს დემოკრატიულ პრინციპებზედ. მაგრამ საბრძოლველ ასპარეზზედ არ გამოდიოდა, მებრძოლთა რაზმებში არა სჩანდა. რა უშლიდა, რა აფერხებდა?

ჯერ უმთავრესად ის, რაც უშლიდა ხელს რუსეთის ყოველს ქვეშევრდომს, ვის გულშიაც-კი ღვივოდა სიძულვილი პოლიციურ რეჟიმისადმი: საერთო დაბეჩავება, გზა-კვალის დაბნევა და რეჟიმის სიძლიერე. განა მარტო გლეხი სდუმდა? სდუმდა პროლეტარიატიც, რომელიც ეხლა მამაცურად მიდის განმათავისუფლებელ მოძრაობის ავანგარდში, სდუმდა ინტელიგენტი, ენა მოჭრილი და ხელებ შეკრული. დადგა მომენტი, დაძველებული რეჟიმი შეირყა, და ყველამ ისარგებლა ხელსაყრელ წამით. როგორც ერთი კაცი, შეერთდა მთელი რუსეთი და მიაწვა შერყეულ შენობას და ნახევრად უკვე დაანგრია. დადგა დრო, როდესაც ყველას შეეძლო დაბმული ენა გაეხსნა და ყველამ დაილაპარაკა. დაილაპარაკა გლეხმაც და ჩაერია საერთო ფერხულში. არა მარტო ყველასთვის საერთო პირობები აჩუმებდნენ აქამომდე გლეხს. არა, იყო კერძო პირობებიც, რომელიც გლეხს უფრო აბეჩავებდა, უფრო მეტად უბამდა ენას, ვიდრე იმის მოძმეს, ქალაქის პროლეტარიატს.

ქალაქის პროლეტარიატი კულტურის ცენტრებში ტრიალებდა, ფხიზლდებოდა; გაცილებით უკეთეს მატერიალურ პირობებში იყო; უფრო ნაკლებად ჰგრძნობდა პოლიციურ რეჟიმის გამათახსირებელ ზედგავლენას. გლეხი-კი მიყრუებულ სოფლებში სცხოვრობდა, მოწყვეტილი ქვეყნიერებას, ნახევრად მწყურვალ მშიერი ზემსკი ნაჩალნიკის „მამაშვილობრივ მზრუნველობის“ ქვეშ. რა გასაკვირველია, რომ გლეხმა სხვაზედ გვიან აიღო თავი, სხვაზედ გვიან ამოიღო ხმა. ეხლა ვიცით შინაარსი ამ ხმისა. გლეხის ხმა არა თუ არაფრით არ ეწინააღმდეგება, არა თუ დისსონანსად არ გაისმის რუსეთის საერთო ხოროში, რომელიც მღერის თავისუფლების სიმღერას, არამედ იღებს ისეთ მაღალს ნოტას, რომლისთვისაც სხვებს ძალა არ შესწევთ.

„ვოზროჟდენიეს“ საკუთარი კორესპონდენტი ტელეგრაფით იწერება გლეხთა კავშირის დელეგატების კრებების შესახებ: „პირველ ორ სხდომაზედ სრულიად გამოირკვა, რომ მიწა არის ხალხის საკუთრება და საჭიროა გაუქმება ყოველ გვარ კერძო საკუთრებისა. ამ აზრის წინააღმდეგ არ გამოთქმულა არც ერთი პასუხი, ასე გაშინჯეთ იმ გუბერნიების დელეგატების მხრივაც, სადაც არ არსებობს სათემო მიწათმფლობელობა. მესამე სხდომაზედ სჯა-ბაასი იყო იმ ზომების შესახებ, რომელსაც შეუძლიან დააჩქაროს გადაცემა მიწისა საერთო საკუთრებად. გამოირკვა ორგვარი მიმართულება: ერთი ჰფიქრობს, რომ საჭიროა შეერთება გლეხობისა ერთ კავშირად და შეიძლება მიზნის მიღწევა მშვიდობიანის საშუალებით, მაგალითად, სრული ბოიკოტით, მემამულეებისა, ადმინისტრაციისა და ბეგარის შეწყვეტით. მეორე-კი ფიქრობს, რომ მშვიდობიან საშუალებას უნდა დაერთოს აგრეთვე ძალით დახვნა მემამულეების მიწისა, გამორთმევა ტყეებისა, მაგრამ არ სჯერათ მშვიდობიანი შედეგი ბრძოლისა და საჭიროდ სთვლიან მომზადებას აქტიურ ბრძოლისათვის.

კრება უარჰყოფს მთავრობის მიერ განზრახულ სახელმწიფო სათათბიროს და საჭიროდ სთვლის მოწვეულ იქმნას საერთო კენჭის ყრით დამფუძნებელი კრება, რომელმაც უპირველეს ყოვლისა უნდა დაადგინოს გადაცემა მათის მიწისა ხალხის საკუთრებად და მერე შეუდგეს სახელმწიფო წყობილების საკითხის გადაწყვეტას.

კრებამ ერთხმად მოიწონა ის განზრახვა, რომ ეხლავე მიღებულ იქმნას ზომები, რომ აწინდელმა მთავრობამ ვერ შესძლოს სესხის აღება. როგორც მკითხველი ჰხედავს, გლეხთა კავშირი სრული თანხმაა დემოკრატიულ მოთხოვნილებისა, რომელიც წამოყენებულია ყველა პარტიისაგან, რუსეთის განთავისუფლებისთვის მებრძოლთაგან: დამფუძნებელი კრება საერთო კენჭის ყრით.

ამ მოთხოვნილების გარდა გლეხთა კავშირი აყენებს დიდ მნიშვნელოვან მოთხოვნილებას: მიწის სოციალიზაციას. აი ის მაღალი ნოტა, რომელიც გლეხთა ხმაში ისმის და რომელიც ვერ აუღიათ სხვებს. გლეხი პირველი სდგამს ნაბიჯს იმ წყობილებისაკენ, რომელსაც ჰქვიან სოციალიზმი, რომელმაც ქვეყნად ბედნიერება უნდა დაამყაროს.

დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს დიდი ძალაც უნდა შესწევდეს. აქვს კი ეს ძალა გლეხობას? აქვს. გლეხების არმია მრავალრიცხოვანია, იგი უდრის 70 მილიონს. ამისთანა არმია არ უნახავს დედამიწას და თუ დაიძრა ეს არმია, ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება წინ. რომ ეს არმია დაიძრა, ამისი ეჭვი ახლა არავის არა აქვს, და მისი შეჩერება შეუძლებელი-ღაა. მარტო ერთი საკითხია გადასაწყვეტი: რა გზას აირჩევს დიდებული არმია: მშვიდობიან გზას, თუ მრავალმსხვერპლიანს. როგორც უნდა გადასწყდეს საკითხი, მაინც გამარჯვება უზრუნველყოფილია, და ვინ იცის, იქნება ახლოა ის დღე, როდესაც გლეხის სიმღერა აღარ ემსგავსება გმინვას, როგორც ეხლა.

**საერობო მოღვაწეთა მესამე კრება.** მოსკოვში რამდენისამე დღის წინ გაიხსნა მესამე კრება საერობო და საქალაქო მოღვაწეთა წარმომადგენლებისა. ამ კრებას ეხლაც უმთავრესად ის საზოგადო მოღვაწეები შეადგენენ, რომელნიც დაესწრნენ პირველს და მეორე კრებას და თავის გაბედულის გამოსვლით სარევოლიუციო მოძრაობის ასპარეზზე მხნეობას და ენერგიას უძლიერებდნენ თავისუფლების ყველა ერთგულს მომხრეს. წინანდელს კრებებს გულის ფანცქალით ადევნებდნენ თვალყურს რევოლიუციის მომხრენი და თავის თანაგრძნობით დიდების შარავანდედით ამკობდნენ გაბედავ „ზემცებს“. ეხლანდელი კრება სულ სხვა პირობებში ხდება და ამიტომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში იმას ეხლა სულ სხვა ადგილი უკავია.

რუსეთის ერთი კარგად ცნობილი პუბლიცისტი, ბ. პეშეხონოვი, უკვე სექტემბრის კრების შესახებ ამბობდა, ერობის მოღვაწეებმა თავისი განმათავისუფლებელი როლი პირველს კრებაზედვე დაასრულეს და ეხლანდელს მეორე კრებას ის მნიშვნელობა აღარა აქვს, რაც წინანდელს ჰქონდაო: ამ წლის შემოდგომამდე სიტყვა—საქმე იყო, ხოლო სექტემბერში-კი სიტყვა მარტოოდენ სიტყვაა და არა საქმეო. სარევოლიუციო მოძრაობა „სიტყვით“ იწყება, მაგრამ იგი სიტყვაზე არ ჩერდება და მალე საქმედ იქცევა; რევოლიუციის დასაწყისში თამამად, უშიშრად წარმოთქმული თავისუფალი სიტყვა—დიდ მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში, რადგან შემდეგ სიტყვის ადგილი სისხლმა უნდა დაიჭიროს. ვიდრე თვითმმართველობა მთელს თავის ძალღონეს თავისუფალ სიტყვის წინააღმდეგ ხმარობდა, საერობო მოღვაწეთა კრებებს და ორატორებს თავისი რევოლიუციონური მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ როდესაც მთავრობამ ფაქტიურად სიტყვის დევნა უარჰყო, მაშინ-კი გულმხურვალე მჭევრმეტყველობას ბუნებრივად დაეკარგა რევოლიუციონური ხასიათი და უბრალო ლაპარაკად გადაიქცა.

თუ საერობო მოღვაწეთა მეორე კრება უმნიშვნელო ან მეტად მცირე მნიშვნელობის სარევოლიუციო ლაპარაკი იყო, ეხლანდელი მესამე კრება უფრო ძირს დაეცა, უფრო დაქვეითდა და ეგრედ წოდებულ წესიერების დამცველად გამოდის. ის ორატორები, რომელნიც წინანდელ კრებებზე ქვას ქვაზედ არ არჩენდნენ და მთლად ეხლანდელ წესწყობილების გაუქმებას და ახალის შემოღებას ჰქადაგებდნენ, ის ორატორები ეხლა „მტკიცე მთავრობას“ ნატრობენ და მოლიბერალე გრაფ ვიტტეს გაძლიერებას ნდომობენ.

რუსეთის სარევოლიუციო დუღილში, რომელიც ოქტომბერში მეტად სახიფათოდ გაძლიერდა, მშრომელ ხალხთან ერთად მონაწილეობას იღებდა არა მშრომელი, ესე იგი ბურჟუაზიული და ფეოდალური ნაწილიც. ამ ბურჟუაზიულ წრეების შემაკავშირებელი იყო ერთის მხრივ საერობო მოღვაწეთა ორგანიზაცია და მეორის მხრივ განთავისუფლების კავშირი. ბურჟუაზიული წრეები თვალთმაქცურად ბრძანებდნენ, ჩვენ რეალურ პოლიტიკის ნიადაგზე ვდგევართ, ესე იგი მხოლოდ ცოტა-ოდნად გვინდა თვითმპყრობელობის შეზღუდვაო, და ამიტომ ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რომ საკონსტიტუციო დემოკრატიულ პარტიად გადაქცეულმა განთავისუფლების კავშირმა და ერობათა ორგანიზაციამ პირველებმა შეუქციეს ზურგი რევოლიუციას, პირველებმა დაიძახეს „მტკიცე მთავრობა“.

ჩვიდმეტ ოქტომბრამდე, ვიდრე თვითმპყრობელობა იურიდიულად სრულს ძალაში იყო მტკიცე მთავრობას „გრაჟდანინი“ და „ნოვოე ვრემია“ თხოულობდნენ, ამ დღის შემდეგ-კი, ლიბერალური წრეები მოიწოდებენ „მტკიცე მთავრობას“ ან, მარტივად რომ ვთქვათ, მათრახს და ხიშტს. გუშინდელი თითქოს პრინციპიალური მოწინააღმდეგენი „კანონიერ“ ძალმომრეობისა დღეს ამ ძალმომრეობის თავ-გამოდებულ დამცველებად გამოდიან და მოითხოვენ „მტკიცე მთავრობას“.

მშრომელ ხალხს ნათლად უნდა ესმოდეს, რომ მათის შრომით და ოფლით გამდიდრებული წრეები შრომის ინტერესების უპირველესი მტრები არიან და თავისუფლებას და თანასწორობას საკანგებო სისწრაფით ივიწყებენ, რა წამს მშრომელი ხალხი თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ჭეშმარიტად ფართო დემოკრატიულ რეფორმების გატარებისთვის იწყებს ბრძოლას.

ჯერ-ჯერობით მოსკოვის საერობო მოღვაწეთა კრების დადგენილებები არ ვიცით, დეპეშები მხოლოდ კრების საერთო ხასიათს გადმოგვცემენ და თითოეულ ორატორის სიტყვებს გვაუწყებენ, მაგრამ ეხლა ცხადზე უცხადესია, რომ დღეის შემდეგ მშრომელ ხალხს თავის იდეალების განსახორციელებლად თვითმპყრობელობის დამცველების გარდა ბრძოლა ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ კონსტიტუციონალისტებთანაც დასჭირდება.

* * *

## ქართველ სტუდენტებს

ბევრი ინატრებდა, მოსწრებოდა იმ დროს, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. შორიდან ვხედავდით, შორიდან ვეალერსებოდით რევოლიუციას. ვკითხულობდით მხოლოდ რევოლიუციას, ვკითხულობდით როგორც მოთხრობას და წარსულ ამბავს, დღეს კი ჩვენს წინ გადაიშალა იგი, როგორც საქმე, როგორც ნამდვილი ცხოვრება, როგორც საშინელი ტრაგედია, რომელიც იწყება ცრემლებით, რომლის დასასრული მორწყული იქმნება სისხლით და მოკაზმული ადამიანების გვამებით.

რევოლიუცია იწყება, გვესმის თოფის გრიალი, ვხედავთ ტყვიით განგმირულს გულს, ვხედავთ აოხრებულს და გადამწვარს სახლებს... მაგრამ რევოლიუცია იწყება მხოლოდ და გრძელი, მძიმე გზა არის გასავლელი. ვინ განსაზღვრავს იმ ტანჯვას, აოხრებას, შიმშილს და გამწარებას, რომელიც წინ მოგველის, დაიჭექავენ ზარბაზნები, დავინახავთ განადგურებულს სოფლებს, დავკარგავთ ძვირფას მოქალაქეებს. რევოლიუციამ არ იცის შებრალება!

ახალი ხანა დაიწყო. გაისმა ძლიერი ხმა: „ან სიკვდილი, ან თავისუფალი სამართლიანი ცხოვრება!“ და ხალხის დროშის გარშემო იკრიბებიან თავგანწირული რაზმები. მთელი რუსეთი უნდა განახლდეს, იწყება ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში. დადგა ისეთი დრო, რომლის მსგავსი, შეიძლება, მეორე არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. დღეს უნდა გადაწყდეს ჩვენის განახლებულ ცხოვრების ბედი, დღეს უნდა მოეწყოს ჩვენი თავისუფალი არსებობა, უნდა დაედვას საძირკველი ხალხის კეთილდღეობას, დღეს უნდა შევუერთდეთ მთელს კაცობრიობას და შევიქნეთ წევრი მსოფლიო ისტორიისა.

ასეთს დროს ერთი საქმე აქვს ყველას—ემსახუროს ხალხს. რასაც დავკარგავთ ახლა, დავკარგავთ სამუდამოდ. რასაც ახლა მოვიპოვებთ, ის იქმნება ჩვენი მომავალი. აღარ არის იმის დრო, რომ ახალგაზდობა ახლა უცხოეთში იყოს გადაკარგული. აღარ არის იმის დრო, რომ სტუდენტობა ლექციებს ისმენდეს მაშინ, როდესაც გარშემო ხმლის ტრიალია და ჯალათების ხელით იღვრება ხალხის სისხლი. პროფესორის კათედრა უნდა დადუმდეს დღეს, ტრიბუნა დღეს ხალხშია, ხალხთან უნდა ლაპარაკი, ხალხთან მუშაობა, მასთან ბრძოლა, სიკვდილი და სიცოცხლე!

დაგვიანების დრო არაა. არავინ არ უნდა მოატყუილოს ქაღალდზე გამოცხადებულმა ვითომდა თავისუფლებამ; არავინ არ უნდა ენდოს სამხედრო წესების გაუქმებას ჩვენში. დამშვიდება არ არის, არ იქნება, სანამ არ დაკმაყოფილდება ხალხის მოთხოვნილებანი. გურიას ასცდა განსაცდელი, მაგრამ გვაქვს რაიმე გარანტია, ნასახი გარანტიისა, რომ ეგვე განსაცდელი ხელახლა არ დაატყდება გურიას თავზე, არამც თუ გურიას, მთელს ჩვენს ქვეყანას, არ განახლდება სამხედრო მდგომარეობა და გენერლები არ შეუდგებიან ქვეყნის განადგურებას? ვინ დაგვარწმუნებს, რომ ჯალათები, რომლებიც ვითომც ცოტათი მიყუჩდნენ, არ განაახლებენ ხოცვა-ჟლეტას? გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ საშინელი, მეტად საშინელი ამბები არ დატრიალდება ჩვენში, კავკასიაში და მთელ რუსეთში? განა იგივე ადამიანები არ არიან მმართველნი? განა არ მოხდება კიდევ უარესი ამბები, ვიდრე იყო 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერს?...

მაშინ? მაშინ შორიდან უნდა უყურებდეს ჩვენი სტუდენტობა ხალხის სისხლის ღვრას და ქვეყნის აოხრებას? თუ მაშინ მოინდომებს, დაუბრუნდეს მშრომელ ხალხს?.. გვიანღა იქნება, გვიანღა! არა, ახლავე უნდა დაუბრუნდეს შეგნებული სტუდენტობა სამშობლოს, თუ მას უყვარს ხალხი, თუ უყვარს თავისუფლება. ახლავე უნდა ამოუდგეს ხალხს გერდში, ისწავლოს მისგან ბრძოლა და მასთან ერთად მოემზადოს ბრძოლისათვის. ეს არის მისი წმინდა მოვალეობა! **სიტყვა**

## დუშეთის მაზრა

დუშეთი.—პირველი შეტაკება გლეხებსა და ყაზახებს შორის. — შეტაკება სხვაგან.—გლეხთა დამრბევი კომისია.—კენჭის ამოღება.—რატომ არ შეიკრიბა საერობო სათათბირო.—ტყე და გლეხის გაჭირვება.— რას აკეთებენ სტრაჟნიკები.

დუშეთი ძველი ქალაქია. რაც დაარსებულა, მგონი, არც ზნე უცვლია და არც ფერი. მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: ყაზარმები აშენდა და ჯარი დასახლდა. მთელ ქალაქში ვერ იპოვნით ეტლს, არ არის არც ერთი სასტუმრო, რომ მოსულ ადამიანს შეეძლოს ღამე ან დღე გაატაროს. აქ მხოლოდ ბაქებია და დუქნები „распивочно и на выносъ“.

ჩვენს მაზრაში ხალხის მოძრაობა მუხრანიანთ მამულებიდან დაიწყო. პირველად მოძრაობამ იფეთქა გენერალ-მაიორის ალექსანდრე ერეკლეს-ძის მუხრანსკის წყალობით. ამ გენერლის შვილმა, გიორგიმ, თავის მამის განკარგულებით, ძველებურად მოსთხოვა ღალა გლეხებს და მიიღო რეპრესსიული ზომები მოსავლის ასაკრებად. რეპრესიამ დიდი აჯანყება გამოიწვია გლეხკაცობაში, ყაზახობა ჩაერია და მრავალი გლეხი იმსხვერპლა. ამითი დაიწყო შურისძიება გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის.

მოძრაობა გადავიდა გრემისხევში, ბანი მისცა საგურამომ, წინამძღვრიანთ კარმა, მუხრანმა და სხვებმა. გამოსჭიმეს ყაზახები შემდეგ სოფლებში: მჭადისჯვარსა, მუხრანსა, წილკანსა, გრემის-ხევსა და ძალისში. ძალიან ფხიანი გამოდგა სოფ. ბულაჩაურის ერთი მემამულე. ამ მემამულემ ორჯელ მიიწვია სამოც-სამოცი ყაზახი და ამისთანა ძალით გააჩანაგა გლეხკაცობა. ამ ძალ-მომრეობამ, რასაკვირველია, უფრო აღელვა გლეხ-კაცობა და რამდენიმე მსხვერპლი გამოიწვია. სოფ. ძალისში მოჰკლეს თავ. ი. ა. მუხრანსკი. სოფ. მჭადის-ჯვარში—აზნაური ნათიშვილი. პოლიციის ბოქაული ნიკოლოზ კობიაშვილი სოფ. ოძისიდან მიდიოდა ახალ-გორისაკენ ცხენით, უკან მისდევდა ცხენითვე სტრაჟნიკი. უცებ იჭექა, გავარდა თოფი, კობიაშვილის ცხენი ჩაწვა და იქვე სული დალია. კობიაშვილი გადმოხტა, სტრაჟნიკს ცხენი გამოართვა, ზედ წამოახტა და გამარჯვებულმა გაჰკურცხლა ახალ-გორისკენ, სტრაჟნიკი-კი, ცხენის პატრონი, მარტოკა დასტოვა.

ახალ-გორში დასჭრეს ყაზახი. სოფელ ოძისში მივიდნენ მემამულეს თავ. შალვა რევაზის ძე ერისთავთან ვილაც კაცები, ღვინის მუშტრები ვართო. ერისთავმა ეს კაცები მიიღო. ერთმა მათგანმა უბისკენ ხელი გააქანა, მაშინვე შეამჩნიეს უბეში რევოლვერი, მისცვივდნენ ამ კაცს და დაუწყეს რევორველის წართმევა. კაცმა დაიყვირა, ჩქარა მიშველეთო, და ამ ხმაზე ალაყაფის კარებიდან ვიღამაც თოფი გაისროლა, ტყვია ეზოში მდგომ აზნაურს ლევან ფიცხელაურს მოხვდა და იქვე მოჰკლა. მკვლელი გაიქცა, რევორველის პატრონი კი დუშეთის საპყრობილეში დააპატიმრეს, მაგრამ არ გაიარა რამდენიმე დღემ, რომ ეს კაცი გაიქცა და დღემდის ვერ უპოვნიათ. სოფელს მუხრანში, მკითხველებმა უკვე იციან, რომ თავ. ესტატე მუხრანსკის კოშკის შენობას ასაფეთქებელი შეუდეს და ააფეთქეს. დროზედ მისწრეს და კოშკი მხოლოდ ცოტათი დაზიანდა.

ამ ჩამოთვლილ შემთხვევებისა გამო გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი დაფაცურდა და ჯარი მიუმატა დუშეთის მაზრას. მისწრა თავად-აზნაურთა მარშლის მოადგილეს ნ. გ. ყაზბეგს (მარშალმა გ. ა. ყარანგოზიშვილმა ხამსახურს თავი დაანება, რადგან იგი დანიშნულ იქმნა ადგილობრივ მომრიგებელ შუამავლად), კომისია შეადგინეო. ამ კომისიაში იყვნენ თავმჯდომარედ თვითონ ყაზბეგი და წევრებად: მაზრის უფროსი ბაუმგარტენი, მომრიგებელი შუამავალი ჰამიდ-ბეგ შახმალიევი და გადასახადთა ინსპექტორი პივოვაროვი. ამათ წაიყვანეს დუშეთიდან ერთი როტა სალდათი, ყაზახები, სტრაჟნიკები და ამალით გასწიეს გლეხთა დატუქსად. ამათმა გაჩენამ გლეხებს თავზარი დასცა და ხელად მოურიგდნენ მემამულეებს, მთელის მოსავლიდან ერთი მეოთხედი მიეცათ. აქედან კომისსია ჩავიდა მუხრანში და აქაც საქმე ამ რიგად გაეთავებინა. კომისსია გადავიდა საგურამოში, მაგრამ აქ სალდათების როტა აღარ მიუყვანიათ, აქ გლეხები ბევრს ეცადნენ, რომ ერთი მეათედი მიეცათ, მაგრამ არც ნ. გ. ყაზბეგმა დააკლო მეცადინეობა, და მეოთხედი მიაცემინა. აქ გაათავა საქმე კომისიამ და კიდევ დაიწყებს იგი მოქმედებას 15 ნოემბრიდან, გაივლის არაგვის მარცხენა ნაპირს, მერე ქსნის ხეობას და შემდეგ ლეხურის მხარეს. კომისიამ მუშაობა იმ მიზეზით შეაჩერა, რომ თავმჯდომარე ნ. გ. ყაზბეგი 15 ოქტომბრიდან თავმჯდომარეობს სამხედრო საკრებულოში.

ახალგაზრდობის კენჭის ამოღება დაიწყო 15 ოქტომბერს ფასანაურში. აქედან ჩარიცხეს 82 კაცი. ჩარიცხეს ისეთებიც, რომელთაც მესამე და მეორე ხარისხის შეღავათი ჰქონდათ. 22 ოქტომბერს საკრებულო ახალ-გორს გადავიდა და იქაც ისე მოიქცა. ბოლოს დუშეთს მიადგნენ.

მთელს მაზრიდან ჩარიცხეს 320 კაცამდე. როგორც „ცნ. ფურ.“-ში უკვე იყო მოხსენებული, ესენი უარს ამბობენ ჯარში წასვლაზე, თუ არ დააწესებენ ორი წლის სამსახურს და ახალგაზრდებს ჩვენს ქვეყანაშივე არ დასტოვებენ და სხვა.

დღემდის არ მომხდარა ჩვენს მაზრაში კრებები ერობის შემოღების გამო. ამისი მიზეზი თავ. ი. გ. ამილახორი იყო. მარშლის მოადგილე ყაზბეგი შეეკითხა ამილახვარს, ერობის კრება როგორ დავნიშნო, როცა კომისიაში დავდივარ, ნება მომეცით ცოტა ხნით კომისია შევაჩერო და ერობის საქმე გავათავოო. ამაზედ ამილახორმა უპასუხა: რა დროს ერობაა, ერობა უთქვენოდაც მოხერხდებაო. ამის შემდეგ არაფერი განკარგულება აღარ მომხდარა. ამ რიგად არც გორისა და არც დუშეთის მაზრაში საერობო სათათბირო არ შეკრებილა.

აქაურმა თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა საგანგებო კრებაზედ, დაარსდეს მთელს მაზრაში სამი „ზასტავა“ ტყისა—ორი მცხეთაში და ერთიც ახალ-გორში. ამავე კრებამ აღძრა კითხვა ხიზნების საქმის გამორკვევისა და ამის თაობაზედ მოხსენება წარუდგინა ადმინისტრაციას. ხსენებულს მაზრაში ტყეებს პატრონი არა ჰყავს და უსწორ-მასწოროდ, უწყალოდ იჩეხება. საერთო ტყეებში ვინც ადრე მისცემს ბარათს გლეხს, ისა სარგებლობს, გლეხიც იმასთან მიდის, ვინც იაფად დასჯერდება. იმასაც გეტყვით, რა სარგებლობა აქვს გლეხ-კაცს ამ ტყიდან. ორნი მიდიან ტყეში და მიაქვთ ორი პატარა ურემი. პირველ დღეს სჭრიან, ხოლო მეორე დღეს ჩამოაქვთ. ამ ორის ურმით აკეთებენ სამს ურემს და მოაქვთ ტფილისში გასაყიდად. ჩამოიტანენ და გაჰყიდიან ცხრა მანეთად ან თუმნად. ამ საქმეს სამი გლეხი უნდება ტყიდან გამოზიდვით, ქალაქში ჩამოსვლით და სახლში დაბრუნებით ხუთი დღე. ასე რომ ხუთ დღეში სცდება სამს ურემზედ სამი კაცი და სამი უღელი ხარ-კამეჩი. აღებულ ფულის ნახევარიც ქრთამში მიდის.

სამღვდელოება ძალიან გაჭირვებულია, რადგან ხალხი არაფერს აძლევს.

დასასრულ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ შემდეგს: ყველამ იცის, რომ ხალხი ინახავს სტრაჟნიკებს თავის ხარჯით. და თითო სტრაჟნიკი უჯდება საზოგადოებას 38—50 მანეთი. ეს სტრაჟნიკები, მთავრობის განკარგულებით, იმისთვის უნდა იყვნენ, რომ საზოგადოებას ემსახურნონ, მაგრამ საქმით-კი სულ სხვა გამოდის, ე. ი. ერთი უკეთებს მაზრის უფროსს კატლეტებს, მეორე მისს თანაშემწეს ცხენებს უკაზმავს, ათ-ათი კაცი პოლიცია აქ ბოქაულებს ახლავან და სხვა. ნუ თუ ამას ბოლო არ მოეღება? ეს მარტო ჩვენს მაზრაში არ არის, მთელს კავკასიაში ასეა.

დუშეთის საპყრობილიდან უკვე გაანთავისუფლეს, 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, პოლიტიკური ტუსაღები. **მერანი**

# ახალი ამბავი

**სრული ამნისტია.** პეტერბურგიდან ხმა მოვიდა, რომ ამ ცოტა ხანში გამოცხადდება სრული ამნისტია. აზრადა აქვთ გაანთავისუფლონ ყველანი, ვინც კი პოლიტიკურ ბრალდებისათვის არის დაპატიმრებული.

**სომეხ წარმომადგენელთა კრება.** როგორც გავიგეთ, ამ ერთი თვის შემდეგ ტფილისში მოხდება სომხის წარმომადგენელთა კრება. იქნებიან წარმომადგენელნი კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან. ამბობენ, ეს კრება კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიას მიემხრობაო.

**უდანაშაულო მსხვერპლნი.** 22 ოქტომბრის ხოცვა-ჟლეტის დროს 65 დაჭრილი მიიყვანეს მიხეილის სამკურნალოში. 22 კაცი განიკურნა ჭრილობისაგან; 43 მძიმედ დაჭრილთაგან უკვე 13 გარდაიცვალა.

**ტელეგრაფისტების დაბრუნება.** როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულის გაფიცვების დროს დასავლეთ საქართველოს ტელეგრაფის მოხელენი ამ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის ბაქოსკენ გადაიყვანეს. ამის გამო 7 ნოემბერს ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე სადგურების ყველა ნაწილის მოსამსახურეთ გამართეს შეერთებული კრება, რომელზედაც დაადგინეს, მოსთხოვონ მთავრობას, რომ იგინი ისევ თავ-თავიანთ ადგილზე დააბრუნოს. ამის შესახებ კრებამ დეპეშა გაგზავნა, სადაც ჯერ არს.

**ადესსა.** უკვე მოგეხსენებათ, რომ ადესსა 17—29 ოქტომბერს საზარელ სურათს წარმოადგენდა. ქუჩები სისხლის გუბეებით გაივსო. ყოველ ფეხის გადადგმაზე ხედავდით უთავო, უხელო და უფეხო გვამებს. არც ღამე და არც დღე არა სცხრებოდა თოფის გრიალი, ომი იყო, ნამდვილი ომი, ცხარე და დაუნდობელი. მსხვერპლი ათასობით ითვლებოდა. მარტო ერთ საზოგადო საფლავში 360 გვამი მოათავსეს. სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ბევრი გადაარჩინა როგორც სიკვდილს, ისე აკლება-აწიოკებას. ძალიან ისახელა თავი ეგრედ წოდებულმა „კავკასიის რაზმმა“, რომელიც ქართველებისა და სომხებისაგან შესდგებოდა. ეს რაზმი ყველა ქუჩაში, სადაც-კი გაჩნდებოდა, თავ-ზარსა სცემდა ხულიგანებს. რაზმმა მთელი ადესის მადლობა დაიმსახურა.

**სასულიერო სკოლების რეფორმა.** უკვე ვწერდით იმ პროექტის შესახებ, რომელიც ტფ. სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლების შესახებ შეიმუშავეს იქაურმა პედაგოგებმა. საჭიროდ სცნეს გიმნაზიის კურსის შემოღება საქართველოს საექსარხოსოს იმ სკოლებში, სადაც ქართველები არიან, საგნები ქართულ ენაზე უნდა ასწავლონ. რუსულად უნდა ასწავლონ რუსული ენა, სიტყვიერება და ლიტერატურა, აგრეთვე რუსეთის გეოგრაფია და ისტორია. სემინარიაში სწავლება რუსულ ენაზე იქნება, გარდა ქართულ ენისა, სიტყვიერებისა, ლიტერატურისა, საქართველოს გეოგრაფიისა, სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიისა. სღვთის მეტყველო კურსებზე სწავლა სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს.

**კლუბის შესახებ.** „ივერია“-ში ვკითხულობთ: „როგორც გავიგეთ, ქართველ „სოციალისტ-ფედერალისტების პარტია შუამდგომლობს, რომ ტფ. სათავად-აზნ. თეატრი გადაკეთდეს ქართულ კლუბად, სადაც მოთავსებული იქნება სამკითხველო“ და სხვა. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხსენებულ პარტიას არავითარი ამისთანა შუამდგომლობა არ აღუძრავს, რადგან პარტია საკუთარ კლუბს აარსებს; სათავად-აზნ. თეატრში-კი პოლიტიკურ კლუბს აარსებს ქართველ ავტონომისტთა ერთი წრე.

**სალდათების ძალადობა.** 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 4—5 საათზე, პოლიციის მე-6 ნაწილში, შემდეგი უმსგავსობა ჩაიდინეს სალდათებმა. 15—20 სალდათი (ვერ გავიგეთ რომელი პოლკისა) შესულან სარისკიპო სახლში და იქ ერთი ალიაქოთი და ჩხუბი აუტეხიათ. იქიდან გასულან ქუჩაში, მისცვინვიან მედუქნეს ზურაბოვს და შეუბრალებლად დაუწყიათ ცემა. დუქნიდან 15 გირვანქა კალბასი და სხვა ნივთები წაუღიათ. იქვე მდგარა უჯარმის მცხოვრები უთიაშვილი. ჩხუბი ამისათვისაც აუტეხიათ. უთიაშვილს რკინის ქამარი მოუხსნია და მით მოუწადინია სალდათების მოგერება, მაგრამ ერთს სალდათს გაუჩერებია, ხოლო მეორეს უძვრია დანა და ისე მაგრა ჩაუკრავს მუცელში, რომ ნაწლევები გადმოუყრევინებია. აწიოკებულა მთელი უბანი და მალე დუქნები დაუკეტიათ. პოლიცია სადღაც მიმალულა და ხალხი გამხეცებულ ჯარის-კაცების ხელში ჩაუყრია. უთიაშვილს განუცხადებია, რომ ჩვენი უბნის დამწიოკებელნი მინგრელთა პოლკის სათადარიგო ჯარის კაცები იყვნენო. უთიაშვილის დამჭრელი სალდათი უკვე დაუპატიმრებიათ. გასისხლიანებული დანაც უპოვნიათ.

**ჯიბგირთა მიტინგი.** გურიის სახალხო სასამართლომ ჩვენამდისაც მოახწია და აქაც იჩინა თავი. ამ დღეებში ჯიბგირები, როგორც მოხსენებული გვქონდა, ქუჩა-ქუჩა ატარეს სახედრებით. ამ ფაქტით შეძრწუნებულნი ჯიბგირნი შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს, როგორ უშველონ თავიანთ საქმეს. ბოლოს ამოირჩიეს რწმუნებულნი, გაჰგზავნეს პროგრესიულ პარტიებთან და შეუთვალეს, ჩვენ ამ ხელობით ვცხოვრობთ და სანამ სხვა ხელობას თქვენ თვითონ არ ვვიშოვნით, ვერ დავანებებთ ამ ხელობას თავსაო. ჯიბგირებმა აგრეთვე დაადგინეს, სანამ ამ პარტიებისაგან პასუხი მოუვიდოდეთ, ჯიბგირობას თავი გაანებონ.

**ყუმბარების გამო დაპატიმრებულნი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ „გრანდ-ოტელის“ სასტუმროში ყუმბარების აღმოჩენის დროს დააპატიმრეს დავით კაჩაური, შიო პავლიაშვილი, კაჩხოევი, სანდრო ციკურაშვილი და გელაშვილი. გელაშვილი უკვე გამოუშვეს და, როგორც გავიგეთ, დანარჩენებსაც ამ ცოტა ხანში გამოუშვებენ. გამომძიებელს ილიაშენკოს უნდა გელაშვილის ნახვა, მაგრამ ადრესი არ იცის. ჩვენ გვთხოვენ, გამოვაცხადოთ ეს ამბავი.

**სადგ. მიხაილოვი.** საშინელი ღამე გაატარეს ორშაბათს დაბა ხაშურის მცხოვრებლებმა. საღამოს მეშვიდე საათზე ორჯელ ზედი-ზედ გაისმა თოფის ხმა. პატარა ხნის უკან ამას მოჰყვა საშინელი სროლა; ჯარის-კაცები გამოვიდნენ ქუჩაში და დაუწყეს დუქნებსა და სახლებს სროლა, შემდეგ აიკლეს და ააწიოკეს იქაურობა. მცხოვრებთ შიშის ზარი დაეცა და ვისაც სად შეეძლო, მიიმალა; დიდმა, პატარამ, ქალმა და კაცმა ღამე სარდაფებსა და საკუჭნაოებში გაატარეს. სახლ-კარი და დუქანი უპატრონოდ დააგდეს და ადვილად წარმოიდგენთ, რა დღეს დააყრიდნენ მიმალულთა ქონებასა და საქონელს!.. საბედნიეროდ, ხალხმა დროზე მოასწრო დამალვა და ამიტომ არავინ უმსხვერპლია გამხეცებულ ჯარის-კაცთა ტყვიას. მეორე დღეს ამბავი ასე გამოირკვა: ადგილობრივ ფოსტის უფროსმა, ნოვიცკიმ, განაცხადა: 4 შეიარაღებული გურული თავს დამეცა და მე ორჯელ გავისროლე თოფიო; ავაზაკები შეშინდნენ და გაიქცნენო. ამის გასროლილი ტყვია მოხვედრია სალდათების ვაგონს, ისინიც გამოვარდნენ და დაიწყეს სროლა... მთელი დაბა დარწმუნებულია, რომ ავაზაკების თავდასხმა ან გაზრახ შეთხზული ამბავია, რათა ჯარი მიესიათ ხალხზე ან და ყველაფერი მოეჩვენა ნოვიცკის, დავრდომილ მოხუცს, რომლის შეიარაღებულ გურულებს, მართლა რომ ყოფილიყვნენ, არ შეეშინდებოდათ.

**ტფილისის პოლკი.** როგორც ვწერდით, ამ პოლკის სალდათებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს უფროსებს. მოთხოვნილება უმთავრესად შეეხება სამსახურიდან მალე დათხოვნას, რადგან შინ ცოლშვილი შიმშილით გვეხოცებაო. მოთხოვნილებათა წარდგენის შემდეგ სალდათებს მოლაპარაკება ჰქონიათ იმის შესახებ, როგორ მოიქცნენ, თუ მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს. გუშინ პოლკში დივიზიის უფროსი

---

# ფელეტონი

## მარქსის წერილი მიხაილოვსკის მიმართ

„ავტორი სტატიისა „კარლ მარქსი ბ-ნ ჟუკოვსკის სამსჯავროს წინაშე“, როგორც ეტყობა, ჭკუა-მახვილი კაცია. იმას რომ ჩემს ტრაქტატში „პირველ დაწყებით დაგროვების“ შესახებ ენახა ერთი გვერდი მაინც თავის დასკვნათა დასამტკიცებლად, უთუოდ იმოწმებდა. ხოლო, რადგან ის არ იყო, იძულებული გახდა ამოეღო იგი არა თვით წიგნიდან, არამედ პოლემიკურ წერილიდან, რომელიც მიმართული იყო ერთ რუს ბელეტრისტის წინააღმდეგ და დაიბეჭდა „კაპიტალის“ პირველ გერმანულ გამოცემის დამატებაში.

„რას ვუკიჟინებდი მე იქ ამ რუს მწერალს? იმას, რომ მან „რუსეთის კომმუნიზმი“ აღმოაჩინა არა რუსეთში, არამედ სტატსკი სოვეტნიკის ჰაკსტჰაუზენის წიგნში და რომ მის ხელში რუსეთის „ობშჩინა“ მხოლოდ იმის საბუთია, რომ პანსლავიზმის გამარჯვება განახლებას მოუტანს ძველ გახრწნილ ევროპას. ჩემი დაფასება ამ მწერლისა შეიძლება სამართლიანი იყოს, შეიძლება — უსამართლო; გარნა იგი (დაფასება) ვერავითარ შემთხვევაში ვერ მისცემს ვინმეს მასალებს ჩემს შეხედულებათა შესახებ „რუსების ღონისძიებისა გამონახონ თავის სამშობლოსათვის გზა განვითარებისა, განსხვავებული იმ გზისაგან, რომლითაც მიდიოდა და მიდის დასავლეთი ევროპა“, და სხ. „კაპიტალის“ მეორე გერმანულ გამოცემის დამატებაში მე ღრმა, მისგან დამსახურებულ პატივისცემით ვამბობ „დიდებულ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსზე“. ეს მეცნიერი თავის შესანიშნავ სტატიებში არჩევდა შემდეგ საკითხს: უნდა დაიწყოს რუსეთმა ვითარება სოფლის „ობშჩინის“ დარღვევით კაპიტალისტურ წყობილებაში გადასასვლელად (როგორც ეს უნდათ ლიბერალ ეკონომისტებს), თუ, პირიქით, რუსეთს შეუძლიან შეითვისოს ყველა ნაყოფი ამ წყობილებისა, არ განიცადოს მასთან შეკავშირებული წამებანი და განვითარდეს თანაბრად თავის საკუთარ ისტორიულ ევოლუციისა. **თვითონ ის გამოსთქვამს ამ უკანასკნელ გზას.**

„ამრიგად, ჩემს პატივცემულ კრიტიკოსს იმდენივე საბუთი ჰქონდა ჩემის სიტყვებიდან „დიდებულ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსზე“ გამოეყვანა დასკვნა, ვითომ მე ვეთანხმებოდე იმის შეხედულებას ამ საკითხში, რამდენადაც მას შეეძლო ჩემის პოლემიკიდან წინააღმდეგ რუსის „ბელეტრისტისა და პანსლავისტისა“ დაესკვნა, ვითომ მე ამას არ ვეთანხმებოდე.

„ბოლოს, რადგან არ მიყვარს დავტოვო რამე დაუმტკიცებელი, ვიტყვი პირდაპირ შემდეგს. რათა დარწმუნებით შემძლებოდა გამეთვალისწინებინა ეკონომიურ ვითარების სვლა თანამედროვე რუსეთისა, მე შევისწავლე რუსული ენა და რამდენისამე წლის განმავლობაში ვსწავლობდი ამ საკითხის შესახებ ოფიციალურ და სხვა წყაროებს. მე დავადექ შემდეგ აზრს: თუ რუსეთი განაგრძობს იმ გზას, რომელიც ირჩია 1861 წლის შემდეგ, იგი დაჰკარგავს ერთს ფრიად ხელსაყრელ შემთხვევას, რომელიცა ისტორიულ მსვლელობას ოდესმე მიუცია რომელისამე ხალხისათვის კაპიტალისტურ წყობილების ყველა გართულების ასაცილებლად. „პირველდაწყებით დაგროვების“ თავში მე მინდოდა მხოლოდ დამესურათებინა ის გზა, რომლითაც კაპიტალისტური წყობილება ფეოდალურ ეკონომიურ წყობილების ბუდიდან გამოვიდა. მაშასადამე, მასში გათვალისწინებულია ისტორიულ მოვლენათა სვლა, რომლითაც მწარმოებელი მოსწყდა წარმოების იარაღს, და მასთან პირველი გადაიქცა დაქირავებულ მუშად (პროლეტარად ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით), უკანასკნელი კი—კაპიტალად. ამ ისტორიაში ყოველი ცვლილება შეადგენს ეპოქას, ემსახურება-რა, ვით ბერკეტი განვითარებისა, კაპიტალისტთა კლასის განმტკიცებას: მთავარ ფესვს-კი ამ ვითარებისას შეადგენს მიწათმოქმედთა ექსპროპრიაცია. ამ თავის ბოლოში მე ვამბობ კაპიტალისტურ დაგროვების ისტორიულ ტენდენციაზე, და ვამტკიცებ, რომ იმისი უკანასკნელი სიტყვა იქნება გარდაქმნა კაპიტალისტურ საკუთრებისა სოციალურ საკუთრებად. ამ დასკვნით პწკარებში მე არ მომყავს არავითარი საბუთი ნათქვამის დასამტკიცებლად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით იგი ზოგადი დასკვნაა გრძელ მსვლელობისა კაპიტალისტურ წარმოებაზე.

„როგორი აზრი შეეძლო გამოეყვანა ჩემს კრიტიკოსს ამ ისტორიულ ესკიზიდან? მხოლოდ შემდეგი: თუ რუსეთი მიილტვის გადაიქცეს კაპიტალისტურ მხარედ, დასავლეთ ევროპის მსგავსად (და მან უკანასკნელ წლებში საკმაოდ იშრომა ამისთვის), იგი ვერ მიაღწევს ამას, თუ პირველ ხანს დიდი ნაწილი თავის გლეხებისა პროლეტარებად არ გადააქცია, შემდეგ ამისა-კი, რა-კი მიხვდება რომ კაპიტალისტურ რეჟიმის უღელ ქვეშაა, იგი უნდა დაემორჩილოს კაპიტალიზმის ულმობელ კანონებს, აი, ეს არის სულ.

„მაგრამ ეს ცოტაა ჩემის კრიტიკოსისათვის. იმან მოისურვა ჩემი ესკიზი, შესახებ დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის წარმოშობისა გადაექცია მთელ ისტორიულ-ფილოსოფიურ თეორიად ხალხთა საერთო ისტორიულ გზისა, მათთვის წინდაწინვე დასახულისა, როგორიც უნდა იყოს პირობანი მათ ისტორიულ ყოფისა, რომ ბოლოს, ყველა მათგანი მიიყვანოს ეკონომიურ წყობილებამდე, რომელსაც შეეძლოს, საზოგადოების მწარმოებელ ძალთა დიდად განვითარებასთან ერთად, უზრუნველჰყოს ყველას უკეთესი მთლიანი ვითარება ადამიანისა. მაგრამ მე მინდა ბოდიში მოვიხადო: ამგვარი ახსნა ჩემთვის ერთ და იმავ დროს ფრიად საპატივოცაა და ფრიად შესარცხვენიც.

„ავიღოთ მაგალითი „კაპიტალის“ სხვა და სხვა ალაგას მე ვიხსენებ იმ ბედს, რომელიც წილად ხვდათ ძველ რომის პლებეებს. ისინი პირველში თავისუფალი გლეხები იყვნენ, რომელნიც თავის საკუთარ ანგარიშზე ამუშავებდნენ კუთვნილ მიწებს. რომის ისტორიის განმავლობაში მათ დაჰკარგეს თავიანთი მიწა-წყალი. იმავ სვლამ მოვლენათა, რომელმაც მათ წაართვა იარაღნი წარმოებისა და არსებობის საშუალებანი, თან მოიყოლია არა მარტო წარმოშობა მსხვილ მიწის საკუთრებისა, არამედ კიდევ დიდრონ ფულიან კაპიტალებისა, ერთს მშვენიერ დღეს მთელი საზოგადოება ორ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა: ერთის მხრივ თავისუფალი ხალხი, ყველაფერს მოკლებული, გარდა თავის სამუშაო ძალისა, და მეორეს მხრივ—ექსპლოატატორები, მფლობელნი მთელ შეძენილ სიმდიდრეთა. რა მოხდა? რომის პროლეტარები გახდნენ არა დაქირავებულ მუშებად არამედ მუქთახორებად, უფრო მსგავსნი ნივთისა, ვიდრე „თეთრი ღატაკნი“ ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ შტატებისა, და განვითარდა არა კაპიტალისტური წარმოება, არამედ მონათმფლობელური. ასე, მეტის-მეტ ანალოგიურ ფაქტებიდან, ხოლო სხვა და სხვა ისტორიულ პირობებში მოვლენილთაგან, აღმოჩნდა სრულიად სხვა და სხვა შედეგი. თუ შევისწავლით თვითეულ ამ შედეგს ცალ-ცალკე და მერე შევადარებთ ერთი მეორესთან, მაშინ ადვილია გამოვნახოთ ამოცანა ამ მოვლენებისა; ხოლო ამ ამოცანას ვერ ნახავ ყველგან მიმდგომ გასაღების შემწეობით, რომელიმე ისტორიულ-ფილოსოფიურ თეორიის სახეში, რომლის უმაღლესი მნიშვნელობაც მდგომარეობს იმას—ასე რომ ვთქვათ—ზეისტორიობაში“.

—

ეს შესანიშნავი წერილი აღმოჩნდა კარლ მარქსის სიკვდილის შემდეგ იმის მიერ დატოვებულ ქაღალდებში ფრანგულ ენაზე და, როგორცა ჩანს, დარჩა გაუგზავნელი. იგი ეხება ნ. მიხაილოვსკის წერილს „კარლ მარქსი ბ-ნ ჟუკოვსკის სამსჯავროს წინაშე“, რომელიც დაიბეჭდა „ოტეჩესტვ. ზაპისკებში“. ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო, და ამიტომ ვსთარგმნე იგი ქართველ მკით-

იყო, ჯარი დაათვალიერა და უკმაყოფილების მიზეზი გამოჰკითხა.

✦ **პრიკაზის ვალები.** კავკასიის ნამესტნიკმა, როგორც მოხსენებული გვქონდა, დროებით შეაჩერა „პრიკაზში“ დაგირავებული მამულები საჯარო ვაჭრობისაგან. ახლა-კი ნამესტნიკს შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ეპატიოთ ამ სახლის პატრონებს მათზე დარჩენილი გადასახადები, რადგან დღემდის შეტანილი თითქმის აღემატება იმ თანხას, რომელიც მათ ამ ბანკებიდან ისესხეს.

✦ **პატრიოტული პირტია.** პატრიოტულ პარტიის წევრებისთვის ფული უხდევინებიათ ომისთვის, მაგრამ აღარ გაუგზავნიათ. სულ არის ათი ათასი მანეთი. ამას წინად კრებაზედ ზოგმა წინადადება შეიტანა, ამ ფულით ნაძალადევში სახალხო სახლი ავაშენოთო, მაგრამ დანარჩენებმა უარი განაცხადეს.

✦ **გაზეთის გამოცემის შეწყვეტა.** ბ-ნი ესაძე, რედაქტორი „კავ. კრ.“-სა აცხადებს, რადგან მე, როგორც სამხედრო კაცს, რედაქტორობის ნებას აღარ მაძლევენ, ამიტომ ვსპობ გაზეთის გამოცემასაო. ხელის მომწერთ ფული უკანვე უბრუნდებათ.

✦ **ქვე-მძრომთა სურვილი.** ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ გრეკოვს. ეს ვაჟბატონი წინად ვოსტორგოვის ყურმოჭრილი მონა იყო და მსახურებდა საეპარქიო საოლქო საბჭოში მდივნად. წელს გრეკოვი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს. ეხლა, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, გრეკოვი ქუთაისიდან ჩამოსულა, ეგზარხოსისთვის უცნობებია სასწავლებლის ვითარება და, სხვათა შორის, უთქვამს, საჭიროა ქუთაისის გუბერნიაში ხელახლა შემოღებულ იქნას სამარ დროის წესებიო. რა თქმა უნდა, ისეთ ვაჟბატონებს, როგორიც გრეკოვი ბრძანდება, არაფრად ესიამოვნებათ თავისუფლება. ესენი ყოველთვის ხიშტებს ეფარებიან და ასე ისრულებენ თავიანთ სამარცხვინო გულის ნადებსა.

✦ **ოზურგეთი.** აქ დაარსდა ყაზახთა მიერ დამწვარ-აოხრებულ გურულთა ოჯახების შემწე კომიტეტი, რომელსაც დაევალა შემოწირულებათა შეგროვება. კომიტეტის წევრებად არიან: რაისა სოლომონის ასული თოხაძე, სოფიო ალექსანდრეს ასული თუმანიშვილი, ერმილე კაცოს ძე ნაკაშიძე, ეკატერინე ყარამანის ასული მამულაიშვილი, გიორგი კონსტანტინეს ძე ქოლოშვილი, ნინო იოსების ასული ნაკაშიძე, ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე. მსურველთ შეუძლიანთ კომიტეტის ერთ და ერთ წევრის სახელზე გაგზავნონ შემოწირულება ქ. ოზურგეთში.

✦ **მიტინგი.** კვირას, 13 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ვერაზე, საარტილერიო ყაზარმებს იქით, გაიმართება მიტინგი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობის ფრაქციისა. განსახილველი საგანი: „პროლეტარიატი და მომავალი რევოლიუცია“.

✦ **ტეხნიკოსთა კრება.** 20 ოქტომბერს მოხდება ტეხნიკოსთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ორი საგანი: ტეხნიკთა მდგომარეობის გაუმჯობესება და ტეხნიკთა კავშირის დაარსება.

✦ **საბჭოს კრება არ შესდგა.** 10 ნოემბრისთვის დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება. ვიდრე კრება დაიწყებოდა, რაღაც ხმები გავარდა და შეკრებილნი დაიშალნენ. კრება დღეისთვის დაინიშნა.

✦ **მიტინგი.** გუშინ თათრის სასაფლაოზე გაიმართა მაჰმადიანთა მიტინგი. მიტინგი არ შესდგა და გადაიდო ოთხშაბათს, 16 ნოემბრისათვის.

✦ **საადრესო სტოლის მოხელენი.** ტფ. საადრესო სტოლის მოხელენი უკვე დაითხოვეს სამსახურიდან, რადგან სტოლი გაუქმდა. საადრესო სტოლის მოხელენი, 20-ზე მეტი ქალი და კაცი, ქალაქის მოურავთან გამოცხადდნენ და სთხოვეს, საადრესო სტოლი ქალაქმა მიიღოს და მოხელენი უკანვე დააბრუნოს. ამ ზამთრის პირში, სთქვეს მოხელეებმა, ადგილებს ვეღარ ვიშოვნით და შიმშილით დავიხოცებითო. მოურავმა გამოუცხადა, ეგ ჩემი საქმე არ არის და საბჭოს ვაცნობებო.

✦ **უფროსისა და ხელ-ქვეით მოხელეთა შეტაკება.** როგორც ვწერდით, ტფ. სახაზინო პალატის უფროსმა დაითხოვა მოხელე ნეგეროვიჩი. როდესაც მოხელენი შეეკითხნენ, უფროსმა განაცხადა, ნეგეროვიჩი დავითხოვე იმიტომ, რომ პირადად შეურაცხყოფა მომაყენა და ამიტომ უკანვე სამსახურში ვერ მივიღებო. მოსამსახურეთ გადასწყვიტეს, მიმართონ მოხელეთა კავშირს.

## თეატრი და მუსიკა

**ქართული წარმოდგენა** („ძალა ცოდნაშია“—ფილიპისა და „ქურდი“—მირბოსი. 10 ნოემბერი). ფილიპის დრამა „ძალა ცოდნაშია“ საკმაოდ მოსაწყენი პიესა გამოდგა. პიესა აზრს მოკლებული არ არის, მაგრამ იმდენად გაჭიანურებულია, იმდენი სხვა, საქმის არ შესახერი, რამეა ჩართული შიგ, რომ კაცს ღალავს და მოთმინებას უკარგავს. პიესაში დასურათებულია ბრძოლა ორის ექიმისა—მოხუცისა და ახალგაზდისა. პირველი დიდებით, ამპარტავნებით და საკუთარის ინტერესით არის გატაცებული. ამის გარეშე იგი არაფერს დაგიდევს. მეორე, ცოდნით და მეცნიერებით აღჭურვილი, სხვათა კეთილდღეობისთვის სცდილობს და მეცადინეობს. შეტაკების დროს ბოროტება ისჯება და სიმართლე იმარჯვებს, რაც, უნდა მოგახსენოთ, ეხლანდელ ცხოვრებაში ძალიან და ძალიან იშვიათი მოვლენაა. პიესა ძველ შაბლონზეა დაწერილი და სულ უადგილოდ და უმიზეზოდ არის შიგ ჩართული ძველის რეჟიმის დაცემა, ახალის გამარჯვება და სხვა. ერთის სიტყვით, ამ პიესის გადმოსათარგმნელად და წარმოსადგენად არა ღირდა არც დროს, არც შრომის და არც ფულის დაკარგვა და ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და არტისტებს ეხლანდელ დროისთვის ალლო ვერ აურთმევიათ და უფრო შესაფერი პიესები ვერ გამოუნახავთ. დროა ამ საზოგადო გამოფხიზლებისას ჩვენის სცენის მოღვაწეთაც თვალი გაახილონ, ძველ სიზანტეს თავი გაანებონ და ხალხს, სულიერად ესოდენ მოწყურებულს, ნამდვილი, გონების გამამდიდრებელი საზრდო მიაწოდონ. დროა არტისტები ნამდვილ შრომას შეუდგნენ, თორემ ცხოვრება იმათ არ დაუცდის, გარიყავს და სასცენო ასპარეზზე სხვებს გამოიყვანს.

წარმოდგენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ზანტად და უგულოდ ჩაიარა.

ამავე საღამოს ზემოხსენებულ პიესის გარდა წარმოადგინეს მირბოს საინტერესო ერთ მოქმედებიანი კომედია „ქურდი“. მირბო სოციალისტია, გულწრფელი მტერი ეხლანდელ უსამართლო წესწყობილებისა, უთანასწორობისა და უმცირესობის უმრავლესობაზე გაბატონებისა. მირბო თავის მრავალ ნაწერებში მუდამ იმას ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ ეხლანდელი კაპიტალისტური წყობილება მონობისა და ჩაგვრის პრინციპზეა დამყარებული და ამიტომ ამ ქვეყნად გაბატონებულნი, დიდით პატარამდე, სხვის სისხლისა და ოფლის მსმელნი არიანო. ესევე აზრია გატარებული ამ პატარა პიესაში. ავტორი გვეუბნება, რომ აშკარად სახლში მივარდნა და ქურდობა სჯობია იმ ქურდობასა და ულონოთა წეწვა-გლეჯას, რომელიც ცხოვრებაშია გაბატონებულიო. მირბოს აზრით, უფლების მქონე კლასთა ყოველი პროფესია, ხელობა და საქმე ქურდობაა, იმ განსხვავებით, რომ, სხვათა თვალის ასახვევად და მოსატყუებლად, ეს ქურდობა პატიოსნების შარავანდედით არის შემოსილი. ქურდი თავის ბიოგრაფიას მოგვითხრობს და ამბობს, რომ მე სავაჭრო, საფინანსო და მრავალ სხვა საქმეს მოვკიდე ხელი, მაგრამ ვერ ავიტანე, რადგან ყველგან ძარცვა-გლეჯას, უსამართლობას და ყაჩაღობას ვხედავდი; ამიტომ ამ ხელობებს პირდაპირ ქურდობა ვამჯობინე და, უნდა გამოვტყდე, რომ ეხლა სინიდისი აღარა მქეჯნისო.

პიესას, რომ ცდილიყვნენ, ბევრად უკეთ წარმოადგენდნენ. ვ. აბაშიძემ, მაგალითად, როლი ძალიან სუსტად იცოდა და მალმალ თავის „აა“—„აა“-თი გვიტკბობდა სმენას!...

## ავტოკეფალია

(წერილი პეტერბურგიდან)

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა მიანდო პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორს ი. ი. სოკოლოვს შეადგინოს დასაბუთებული მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე მომავალ საეკლესიო კრებისათვის. ეს მოხსენება სოკოლოვმა უნდა დაასრულოს და წარუდგინოს მიტროპოლიტს პირველ დეკემბერს. სოკოლოვი გულმოდგინედ მუშაობს ამ საკითხზე და არჩევს მასალებს ყველა ენაზე. ხოლო ქართულ ენიდან მასალებს ჩვენ ვუთარგმნით და ვაწოდებთ. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც იგი შეუდგა ამ საკითხის შესწავლას, მაგრამ ეხლავე დარწმუნდა, რომ ჩვენი ეკლესია ტყუილა-უმიზეზოდ არის მოკლებული თავის უფლებას, რომელი უფლებაც მას ხელ-ახლა უნდა დაუბრუნდეს. პეტერბურგში საზოგადოდ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენს ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული უფლება. ჩვენის აზრით, ეხლა ჩვენმა სამღვდელოებამ უნდა შეამუშაოს საკითხი ხარჯის შესახებ. აქ, როგორც ხმა დადის, მიზეზად უარის ყოფისა ავტოკეფალიაზე ასახელებენ ხარჯს. ამბობენ, რომ საქართველოს ეკლესიის შენახვა წელიწადში 400,000 მანეთად გვიჯდება და თუ ავტოკეფალია მივანიჭეთ, იმ შემთხვევაში ხარჯს ჩვენ აღარ მივსცემთო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ის საეკლესიო მამულები, რომელიც მთავრობამ ჩამოართვა ეკლესიას, უნდა დაუბრუნდეს. თუნდ რომ არც ეგოს, თავისუფალი მაინც იქმნება ჩვენი ეკლესია იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც იგი შეზღუდულია.

**მღ. ალ. გიორგაძე.**

## რუსეთი

**გლეხთა მოძრაობა.** გაზ. „ნ. ჟ.“-ში მოთავსებულია წერილი ერთის მოურავისა მემამულესთან. მოურავის სიტყვით, აჯანყებული გლეხები სწვავენ და ანგრევენ მემამულეების სახლ-კარს. პური და სანოვაგე მიაქვთ, რადგან თავის საკუთრებად მიაჩნიათ. მემამულენი დაშინებულნი არიან. ბევრნი სტოვებენ სახლ-კარს და მიდიან. მოსამსახურეებიც კი გარბიან, რადგან გლეხებისა ეშინიანთ. თუმცა, როგორც იმავე წერილიდან სჩანს, გლეხები არა ხოცავენ ხალხს. მხოლოდ, რაც თვითონ გამოადგებათ, მიაქვთ, რაც არა და სწვავენ. ერთის სახლიდან გაიტანეს წიგნები, გადაყარეს ხატები. გლეხები იკლებენ არა მარტო ძსხვილ მემამულეებს, თავისავე მოძმე მდიდარ გლეხებსაც ალბად, მევახშეებს და ჩარჩებს. ერთ ალაგს კაზაკებთან შეტაკებაც ყოფილა. ამბობენ, გლეხებმა იარაღით წინააღმდეგობა გაუწიესო. რამდენიმე გლეხი დაშავებულია. მანიფესტის გამოსვლის ამბავი გლეხებს გვიან გაუგიათ, მაგრამ, გაუგიათ თუ არა, მაშინვე ყრილობები გაუმართავთ მანიფესტის გასარჩევად. გლეხები თურმე ამბობენ, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა უმეტესობა მდიდარი კლასებისაგან იქნება შემდგარიო და ამიტომ იმის დადგენილების იმედი ვერ გვექნებაო. „საჭიროა—დასძენს წერილის ავტორი—გლეხებს მიეცეს თავისუფლება, რომ აირჩიონ, ვინც უნდათ, და მაშინ ყოველივე დაწყნარდებაო“.

დონის ოლქის გლეხების 40 საზოგადოებას განუხილავს და ერთხმად მიუღია დადგენილება, რომლის უმთავრესი მუხლებიც შემდეგია:

1. ჩვენის მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ ხალხს განაგებდეს სახელმწიფო სათათბირო და არა მოხელეები.

2. არჩევნები ისე კი არ უნდა იყოს, როგორც ახალ კანონშია ნათქვამი, ყველა უნდა გათანასწორდეს და ყველა სრულწლოვანი, ორისავე სქესისა, ერთის უფლებით შევიდნენ არჩევანში. არჩევნები უნდა მოხდეს პირდაპირ და არა არჩეულების შუამავლობით; კენჭის ყრა უნდა იყოს ფარული, რომ ყველამ სინიდისიერად ჩააგდოს კენჭი და მთავრობისა არ ეშინოდეს. გარდა ამისა გლეხები თხოულობენ, რომ წარმომადგენლებს ჰქონდეთ უფლება კანონების შედგენისა, გადასახადების დანიშვნისა, სახელმწიფოს შესავალ-გასავლის თვალ-ყურის დევნებისა, მინისტრთა და მოხელეთაგან ანგარიშის მოთხოვნისა. კანონებს არავინ არ უნდა ადგენდეს და არც აუქმებდეს გარდა სახელმწიფო სათათბიროსი. საჭიროა თავისუფლება სინიდისისა, კრებისა, სიტყვისა, კავშირებისა ხალხოსნობის განურჩევლად.

3. საჭიროა გაუქმდეს კერძო საკუთრება მიწაზე და ყველა კერძო, სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მიწები გადაეცეს ხალხს ამ პირობით, რა პირობასაც დაადგენენ ხალხის წარმომადგენლები, ამორჩეული საყოველთაო და სხვა კენჭის ყრით.

დასასრულ გლეხები აცხადებენ, რომ ამიერიდან ისინი უერთდებიან „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს“ და თხოულობენ პოლიტიკურ ტუსაღების სრულ ამნისტიას.

სარატოვის გუბერნიის, გრავჩინსკის საზოგადოების გლეხობას 17 ოქტომბრის მანიფესტის წაკითხვის და გარჩევის შემდეგ დაუდგენია შემდეგი:

„ჩვენ, გლეხები გრავჩინსკის საზოგადოებისა, გავიცანით რა 17 ოქტომბრის მანიფესტი, ვხედავთ მასში მხოლოდ პირველ გამარჯვებას უუფლებო რუსეთის ხალხისას თავის მტარვალებზე. ჩვენ ვაცხადებთ, რომ განვაგრძობთ ბრძოლას, სანამ მთავრობის მიერ მინიჭებულ სახელმწიფო სათათბიროს მაგივრად, რომელშიც ხალხის ინტერესების ნამდვილ დამცველთ არა აქვთ ადგილი, არ მივაღწევთ:

1. დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო და სხვა უფლების საფუძველზე.
2. სრულ მიწის გადაცემას მშრომელ ხალხისთვის საზოგადო კუთვნილებად.
3. ნედოიმკების და სანადელო გადასახადის მოსპობას და შემოსავალზე გადასახადის დაწესებას.
4. აგრეთვე უფასო საყოველთაო სწავლას.

ამგვარივე დადგენილება შეიმუშავეს სტარო-ბახმეტიევის საზოგადოების გლეხებმაც.

საზოგადოდ სარატოვის გუბერნიაში გლეხებს სულ ამგვარი დადგენილებანი მიუღიათ. არა ჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობა სოფელს მეტადრე მანიფესტის გამოცემის შემდეგ. გლეხები არჩევენ მანიფესტს, თვითონვე უხმობენ მცოდნე ხალხს, როგორც მაგ. ექიმს, მასწავლებელს და სთხოვენ მანიფესტის სხვა და სხვა მუხლების ახსნას. ზოგჯერ თვითონვე აძლევენ კითხვებს. ზოგგან დიდი მიტინგები იმართება, რომელზედაც ხალხი წითელის დროშებით და მარსელიეზას სიმღერით მიდის. ბევრგან გლეხები შეიარაღებულნიც არიან. მართალია, აჯანყებულთა ბრბო ბევრგან სწვავს და ანადგურებს შენობებს და ჭირნახული მიაქვს, მაგრამ ხალხის ხოცვას თავს არიდებს და წინადვე უთვლის იმ მემამულეებს, რომელთაც დაცემას უპირებენ: მოსვლას ვაპირებთ და თავი მოგვარიდეთო.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

10 ნოემბერი

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომელიც უნივერსიტეტის საბჭოებს ეგზავნებათ აზრის გამოსათქმელად: როგორც პროფესორები, ისე ყველა თანამდებობის პირნი არჩეული უნდა იყვნენ, მაგრამ მათ მინისტრი უნდა ამტკიცებდეს. უნივერსიტეტის თვითმმართველობის ცენტრალური ორგანოა საბჭო, რომელშიაც შედიან ყველა პროფესორები, უმცროს მასწავლებლებს გარდა. საბჭო სწყვეტს მხოლოდ ყველაზე მეტ საყურადღებო საზოგადო საკითხებს; მიმდინარე საქმეების, სამოსწავლოსა, ადმინისტრატიულის და საოჯახოს,—მართვისათვის არსდება სენატი რექტორისა, მისის თანაშემწისა, დეკანებისა, სამის არჩეულ პროფესორისა თვითეულ ფაკულტეტისაგან, საოჯახო საქმეებში მრჩეველისა და იურისკონსულტისაგან. საქმეების მახლობელი მმართველნი იქნებიან სენატის დამხმარე გამგეობა რექტორისა, მისი თანაშემწისა, დეკანებისა და საოჯახო ნაწილის საქმეებში მრჩეველისაგან. სტუდენტების დანაშაულობის გასარჩევად არსდება დისციპლინარული სამსჯავრო, რომელიც სენატს დაემორჩილება. სამოსწავლო და საფაკულტეტო საქმეების მართვა-გამგეობის საქმე დაეკისრება, უმთავრესად, ფაკულტეტებს. საფაკულტეტო კრება ირჩევს პროფესორებს. შტატის დოცენტების თანამდებობანი ხელ-ახლა შემოდის. ექსტრაორდი-

---

ხველთათვის, რომელთაც შეიძლება არ ენახოთ იგი. ამ წერილის მნიშვნელობას შემდეგაც შევეხებით და გავაცნობთ მკითხველს, რომელი იყო მართალი მარქსიზმის განმარტებაში: მიხაილოვსკი, თუ მარქსი? აღვნიშნავ აქვე, რომ თვით მარქსის ასეთი განმარტება მარქსიზმისა სრულებით ეწინააღმდეგება ორტოდოქსალ-მარქსისტების განმარტებას. დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ იმ ორ რუს მწერლიდან, რომელთაგანაც პირველს მარქსი იხსენიებს, როგორც ბელეტრისტს და პანსლავისტს, და მეორეს, როგორც „დიდებულ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსს“, პირველი არის გერცენი, მეორე—ჩერნიშევსკი.

გ. ქ.

## თანამედროვე მოძრაობა და სამღვდელოება.

(დასასრული *)

საქმის ამნაირად გადაჭრას მოითხოვს თანამედროვე აუცილებლობა. საკითხის სხვანაირად დაყენება და სხვა სახით გადაწყვეტა არსებულ პირობებში ყოვლად შეუძლებელი საქმეა. მართალია, ეს საკითხი აღნიშნულის სახით თვითონ სამღვდელოებამა და ჩვენის ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წამოაყენა, მაგრამ მთლად დაბრმავებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ გარემოების ძალით თვით საკითხის ამ სახით წამოყენების საფუძვლიანობა და სისწორე უარჰყოს. როგორც მოგეხსენებათ, ერთგვარი აუცილებლობა ერთსა და იმავე პირობებში არსებითად ერთისა და იმავე შედეგის მომცემია... და უკეთუ დღეს აღნიშნული საკითხი თვითონ სამღვდელოებასა და ინტელიგენციის ერთ ნაწილს არ წამოუყენებია, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხვალ თვითონ ხალხი და ინტელიგენციის მეორე ნაწილი წამოაყენებს იმავე, ანუ დაახლოვებით მაინც ამავე სახით, რადგან, საქმე მარტო იმით არ გადაწყდება, ხალხში მიხვიდე, გაჰფიცო და დრამა აღარ მიაცემინო.

საზოგადოებრივ საკითხის გადაწყვეტა კი შეიძლება მხოლოდ დროს შესაფერ ნორმალურ კალაპოტში საქმის ჩაყენებით. მართალია გაუმწვავებლად თითქმის ვერც ერთი საზოგადოებრივი საკითხი ვერ აღწევს ხალხის უმრავლესობის ცნობიერებამდე და ამ მხრით გამწვავებასაც ერთ გვარი სამსახურის გაწევა შეუძლია; მაგრამ სცდებიან ისინი, რომელნიც თვით ამ „გამწვავებაში“ ხედავენ წამოყენებულ საკითხის საბოლოვო მიზანს, გამთავე წერტილს. იქ, სადაც საზოგადოების უდიდეს ნაწილს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი საჭიროდ მაჩნია, საქმის გამწვავებაზე მათი საურთიერთო დამოკიდებულობის დამყარება და ამნაირად მათი საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. იქ საქმე ბოლოს და ბოლოს საურთიერთო მორიგებით, ორპირი დათმობითა და ნორმალურის პირობების გამოძებნით თავდება ხოლმე და უნდა გათავდეს.

ამიტომ დროა ჩვენი ხალხი არსებულ პირობებს ღრმად ჩაუკვირდეს და მოითხოვოს საქართველოს ეკლესიის ორმხრივი თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსაგან და რუსეთის ეკლესიისაგან. პირველს თავისუფლებას იგი მიაღწევს საეკლესიო იერარქიის გამწესებაში საარჩევნო პრინციპის შემოღებით, ხოლო მეორეს—ჩვენის ეკლესიის სრულ დამოუკიდებლობის აღდგენით.

რაც შეეხება სამღვდელოების ნივთიერად უზრუნველ-ყოფას, ამასაც საკუთარი, სახელმწიფო ხაზინაზე დამოუკიდებელი, წყარო სჭირია, ე. ი. საჭიროა, ვინც ეკლესიის წევრია, ჯამაგირიც მხოლოდ მან აძლიოს სამღვდელოებას და არა სახელმწიფო ხაზინამ, რომელშიაც ეკლესიის არა-წევრთა ფულიც შედის. წინააღმდეგ შემთხვევაში სამღვდელოების პოლიტიკური დამოუკიდებლობა მხოლოდ ფიქცია იქნება და მის დღევანდელ მდგომარეობას ხალხის უმრავლესობის საკეთილოდ ვერ შესცვლის.

საქმეს ვერას არგებს ვერც ყოფილ საეკლესიო მიწების უკანვე დაბრუნება, რადგან ამ მიწებს სამღვდელოება თვითონ ვერ დაამუშავებს, ხოლო იჯარით მათი გაცემა ან დაქირავებულის მუშით მოვლა იმდენ სარგებლობას ვერ მისცემს, რომ მათის შემოსავლით სამღვდელოებამ თავი ირჩინოს. ასე, რომ ბოლოს და ბოლოს სამღვდელოება იძულებული გახდება ამ მიწებზე სამუდამოდ ხელი აიღოს. ამიტომ უმჯობესია მიწა პირდაპირ იმას გადაეცეს, ვისაც მისი დამუშავება შეუძლია. საეკლესიო მიწების უკანვე, ე. ი. ეკლესიისთვისავე დაბრუნებას მხოლოდ მაშინ შეიძლება თანაუგრძნოს კაცმა, უკეთუ სახელმწიფო მათ ხალხისათვის არ გაიმეტებს, და მხოლოდ იმდენად თანაუგრძნოს, რამდენადაც ამითი გაადვილდება აღნიშნულ მიწების იჯარით ან სხვა შეღავათიანის პირობით ხალხზევე გადაცემა, რაც მაშინ უფრო ადვილი მოსალოდნელი და მოსახერხებელია, როცა მიწები ეკლესიის, ე. ი. თვით მორწმუნე ხალხისა და მის მიერვე არჩეულ სამღვდელოების ხელში იქნება, ვიდრე მაშინ, სანამ იგინი ბიუროკრატიულ მთავრობის ხელშია.

ამრიგად: განთავისუფლება სამღვდელოებისა ეროვნულად და პოლიტიკურ-ეკონომიურად, მისი გაეროვნება და გადემოკრატება, ეკლესიის დამოუკიდებლობა და საარჩევნო პრინციპი,—აი რა გზას უნდა დაადგეს ხალხი და სამღვდელოება, უკეთუ სურთ საურთიერთო დამოკიდებულება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენონ და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს წესიერი მსვლელობა მისცენ. მაგრამ, ამასთან, მტკიცედ უნდა განისაზღვროს თვით სამღვდელოების სამოქმედო ასპარეზი და სპეციალური დანიშნულება. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს მუდამ ექნება საბუთი სამღვდელოების მოქმედებაში ჩაერიოს და თავისუფლება შეუზღუდოს.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ქართველი სამღვდელოება ომში ჯარს წინამძღვრობდა, წავიდა და აღარც სასურველია, რომ დაბრუნდეს; დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც ქართველი სამღვდელოება საერთაშორისო მოციქულობასა და მიწერ-მოწერაში მონაწილეობას იღებდა, წავიდა და არც სასურველია, რომ დაბრუნდეს; დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც საბერძნეთის იმპერატორები მღვდელ-მთავრებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დიდ ადგილს უთმობდნენ და ამისდა მიხედვით პასუხსაც სთხოვდნენ; დიდი ხანია ევროპის მოწინავე სახელმწიფოებში ხმა გაისმის სახალხო სწავლა-განათლებაში სამღვდელოების ჩარევის წინააღმდეგ. სადაც ცხოვრება განვითარების გზას ადგია, იქ ყველაფერი ფუნქციათა დიფერენციაციის ანუ შრომის განაწილებისა და მტკიცედ განსაზღვრის კანონს ემორჩილება. ამავე რკინის კანონს უნდა დაემორჩილოს ჩვენში სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეც.

ზემოდ ჩვენ გავარკვიეთ, რომ ჩვენს ხალხს სამღვდელოება სჭირია, ერთის მხრით, სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და, მეორე მხრით, ზნეობრივ სიფაქიზისა, ძმობა-სიყვარულისა და სამართლიანობის გუშაგ-მქადაგებლად. ასეთია სამღვდელოების სპეციალური მოწოდება და უმთავრესი დანიშნულება, ამას უნდა დასჯერდეს თვითონ იგი. ამაზე მეტს სამღვდელოებას ვერც მოვთხოვთ და არც საჭიროა, რომ მოვთხოვოთ. *)

**ვალსამონი.**

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 2945.

*) ეს წერილი უკვე დათავებული გვქონდა, როდესაც „მწყემსის“ რედაქტორმა ბ-ნ ივ. გომართელს პასუხი დაუწერა და სამედიატორო სამართალში (?!) გამოიწვია. არ გვესმის არც მ. დეკანოზ ღამბაშიძის უადგილოთ გაწიწმატება და არც ის, თუ რა უნდა გააკეთოს ამ სამედიატორო სამართალმა. თვითონ სამღვდელოებამ თავის პეტიციებში არა ერთ გზის აღნიშნა, რომ დღევანდელი ჩვენი სამღვდელოება ბიუროკრატიის მონაა,—და გომართელსაც ხომ ამაზე მეტი არა უთქვამს-რა?! (იხ. თუნდ იმერეთის სამღვდელოების პეტიციის შესავალი). ავტორი

[illegible] პროფესსორისა, დოცენტისა და პრივატ-დოცენტისათვის საჭიროა მაგისტრის ხარისხი. ორდინარ პროფესსორისთვის—დოქტორისა. ჯამაგირს ემატება; შემოღებულ იქნება ყოველ ხუთის წლის განმავლობაში ჯამაგირის მიმატება; გონორარული სისტემა შრომას დაჯილდოვებისა უქმდება; შემოდის საგნობრივი (предметная) სწავლება და სახელმწიფო გამოცდები. არსებული გამომცდელი კომისია უქმდება. ცალკე უწყებებს ნება ეძლევათ, დააწესონ, როგორიც უნდათ, ისეთი გამოცდები იმ პირთათვის, რომლების სამსახურში მიღება ენდომებათ. უნივერსიტეტის გათავება არ იძლევა არავითარ უფლებებსა და უპირატესობებს. განზრახულია, უნივერსიტეტებში მიიღონ ყველა საშუალო სასწავლებლებიდან იმ პირობით-კი, რომ ისინი დამატებით ეგზამენებს დაიჭერენ, თუ მათ მიერ არჩეული ფაკულტეტი არ ეფარდვის დასრულებულ საშუალო სასწავლებლის პროგრამას.

სტუდენტებს ნება აქვთ გამართონ უნივერსიტეტში საზოგადოებანი და წრეები მეცნიერულის მიზნით და კრებები სამოსწავლო ცხოვრების საკითხებზე სასჯა-ბაასით, უნივერსიტეტებს გარეშე-კი მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ყველა ორგანიზაციებსა და კრებებზე ყველა მოქალაქეთათვის საერთო კანონებით. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ჩარევა უნივერსიტეტის საქმეების მართვა-გამგეობაში უქმდება. მზრუნველს მხოლოდ თვალ-ყურის გდება ეკისრება.

## წერილები.

**სოფ. ჯუმათი** (გურია). როგორც გაზეთში იყო მოხსენებული, 5 აგვისტოს გაძარცვეს ჯუმათის მონასტერი და გაიტაცეს ხატები და ძვირფასი თვლები. ამ ამბავმა ფეხზე დააყენა მთელი გურია. დიდი და პატარა, ქალი და კაცი გაფაციცებით დაეძებდნენ ბოროტ-გამზრახველებს. დაინიშნა კომისიები სხვა და სხვა სოფლებიდან და დიდის მეცადინეობის შემდეგ, როგორც იყო, მიაგნეს ავაზაკებს. ეს ვაჟბატონები ბრძანდებიან ს. აცანიდან; ვ—ნ, ო—რე, ლ—ტი ჩ—ძენი; ლ—კო თ—ძე და მ—ილ წ-ნი. კომისიამ ავაზაკები დამტვრეულ ნაპოვნ ნივთებით წარუდგინა კრებას 4 სექტემბერს, ს. დაგვაში. დაესწრო არა ნაკლებ 3000—4000 ქალისა და კაცისა. ავაზაკებმა კრებას აუხსნეს, თუ როგორ ჩაიდინეს ეს საზიზღარი დანაშაულობა. ერთი დამნაშავე წ—ნი სპარსეთში გაპარულიყო და იქიდან მოიყვანეს; კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა, რა სახით დასჯილ იყვნენ ავაზაკები, მაგრამ კამათი მეტად გამწვავდა: აქაც იჩინა თავი „პარტიობამ“. ზოგს სურდა ავაზაკების სრულიად გამართლება, ზოგს მცირე სასჯელი, ხოლო უმეტესობა-კი გაიძახოდა: „სიკვდილი ამათ, ანუ საუკუნო ბოიკოტიო“! ერთმა ისეც წარმოსთქვა: „ამ კაცებმა თვალი აგვიხილეს, სინათლე დაგვანახეს და სასჯელი კი არა, საჩუქრის ღირსნი არიანო“. რადგან შეთანხმება არ მოხერხდა, აირჩიეს კომისია ოცი კაცისაგან. კომისიაც ორად გაიყო: თორმეტმა კაცმა საჭიროდ სცნო: დამნაშავეთ ერთ წელიწადს ბორკილები გაეყაროს, ზურგზე დანაშაულობა წაეწეროთ და სხვა სოფელში იცხოვრონ; რვა კაცმა კი—ასეთივე სასჯელი ექვსის თვით და თავის სოფელში ცხოვრებით. კრებამ ხმის უმეტესობა დაამტკიცა, მაგრამ განაჩენი ჯერ სისრულეში არ მოუყვანიათ. ნივთები მაშინვე დაბექდეს, მერე აარჩიეს ახალი კომისია ხუთის კაცისაგან და მიანდეს მოტანილ ნივთების გადათვალიერება, შედგენა ახალ სიისა, როგორც მოტანილის, ისე მონასტერში დარჩენილ ნივთებისა. ახალმა კომისიამ დანიშნა სხდომა თვითონ მონასტერში და მოიწოდა სპეციალისტი ამ საქმისა. გადათვალიერების დროს არ აღმოჩნდა მონასტრიდან წაღებული შემდეგი ნივთები: პანაღია სამღვდელმთავრო ოქროს ძვირფას თვალ-მარგალიტით შემკობილი, ღირებული სამი ათას მანეთად; თოთხმეტი ძვირფასი მომსხო თვალი, აღებული დიდ ხატებიდან; დიდრონი თვლები მთავარანგელოზის ხატისა, ესენი სულ ღირდა 40,000 მანეთად. კომისიამ თვისი მოქმედება წარუდგინა კრებას. კრებამ აარჩია ისევ ახალი კომისია და დაავალა აღმოჩენა დანაკლის ნივთებისა. გამოძიება სწარმოებს და ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება. ზოგნი ამბობენ: „წ—ნი რომ სპარსეთში იყო, თან წაიღო და გაასაღა დანაკლისი ნივთებიო“.

ს. ჩ.—ლი

## დეპეშა

### „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. „პრავიტ. ვესტნიკ.“-ი იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უკანასკნელ დღეებში 40-ზე მეტი განცხადება და დეპეშა მოუვიდა, რომლებშიაც, პოლონეთში სამხედრო წესების მოხსნასთან ერთად, ითხოვენ პოლონეთში სრულის პოლიტიკურ ავტონომიის შემოღებას და დამფუძნებელ კრებისა ან სეიმის მოწვევას ვარშავაში. 9 ნოემბერს მინისტრთა საბჭოში მივიდა ვილნოში მცხოვრებთა და იქ სხვა და სხვა კუთხიდან შეკრებილ ლიტვინების მიერ 1905 წ. 31 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს შემუშავებული დადგენილება ლიტვის ავტონომიის შესახებ. ამ დადგენილებაში შეტანილია, სხვათა შორის, შემდეგი პუნქტები: 1. ვილნოსა, კოვნოსა, გროდნოსა და კურლიანდიის გუბერნიის ერთს ნაწილს და აგრეთვე სუვალკის გუბერნიას, რომელიც ვენის კონგრესის შემდეგ პოლონეთის სამეფოს შეუერთეს, ლიტვინები თავისად სთვლიან ეტნოგრაფიის მიხედვით, ამ გუბერნიებში მცხოვრებ პოლონელებს, ებრაელებს, რუსებს და სხვებს უფრო გვიან ჩასახლებულებათ მათ შორის; 2. რადგანაც ლიტვინებს სურვილი აქვთ ფართოდ ისარგებლონ ადამიანთან თანდაყოლილ თავისუფლებით და ამასთან საშუალება მისცენ მაში მონაწილეობისა დანარჩენ ეროვნებათაც, რომელნიც მათთან ცხოვრობენ, ითხოვენ ფართო ავტონომიას თავის სამშობლოსთვის დამფუძნებელ სეიმით ლიტვის ძველებურ სატახტო ქალაქ ვილნოში, რათა თვითონ მათ შეეძლოთ თავიანთის წარმომადგენლების საშუალებით ისჯაბაასონ და გაუძღვენ თავიანთ საქმეებს; 3. მართალია ლიტვინები მათ მიერ დასახლებულ მიწა-წყალს მათის წინაპრების კუთვნილებად სთვლიან, მაგრამ ისინი სრულებით არ ეუბნებიან უარს მათ შორის დასახლებულ არა ლიტვინებს იმ უფლებებზე, რომლებითაც თვითონ ისარგებლებენ, მაგრამ ამასთანავე პროტესტს აცხადებენ ამა თუ იმ მეზობელ ეროვნების ძალმომრეობისა და შემზღუდველ მისწრაფების წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იქნება მათის ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკურ თავისუფლებისა და სხვისაკენ; 4. ლატვინები ითხოვენ თავიანთთა და ლიტვის სხვა ეროვნებათათვის უფლებას საზოგადოსა და სხვა სახელმწიფო თანამდებობაზე მიღებისას, განუსაზღვრელ უფლებას უძრავ ქონების შეძენისთვის, საზოგადოებათა კავშირთა და კრებათა თავისუფლად გამართვას, კანონის და უფლების წინაშე თანასწორობას საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარულის ხმით არჩეულ წარმომადგენლების შემწეობით ლიტვინების სეიმში ქალაქ ვილნოსა და საერთო სახელმწიფო პარლამენტში; 5. თუ პოლონეთში ავტონომია იქნა შემოღებული, სუვალკის გუბერნია, როგორც ლიტვინებით დასახლებული ადგილი, ადმინისტრატიულად უნდა შეუერთდეს ლიტვას, როგორც ეკუთვნოდა მას პოლონეთისა და ლიტვის პირველად გაყოფის დროს.

„ნოვოე ვრემია“-ში დასტამბულია: „9 ნოემბერს, დღისით, ცარსკოე სელოში სხდომა იყო, რომელზედაც დაესწრნენ ყველა მინისტრები გრაფ ვიტტეს თაოსნობით. ეს სხდომა, რომელიც ძლიერ დიდ ხანს გაგრძელდა, პირდაპირაა შეკავშირებული 17 ოქტომბრის მანიფესტის მიხედვით დამზადებულ დროებითს წესებთან შესახებ თავისუფლებათა; ამ წესებს ამ დღეებში გამოაქვეყნებენ. უწინარეს ყოვლისა გამოქვეყნებულ იქმნება ბეჭდვითი სიტყვის წესები. ამავე საკითხებზე ჰქონდათ მინისტრებს თათბირი საღამოს გრაფ ვიტტესთან. ეს სხდომა უკანასკნელი იყო ბეჭდვითი სიტყვის დროებითის წესების შესახებ და 12 ნოემბერს გამოაქვეყნებენ მათ“.

8 ნოემბერი

**ტოკიო**, 9 ნოემბერი. ჩინეთის მთავრობის აგენტმა მიჰმართა თხოვნით პეკინში, მოსთხოვონ რუსეთს ფულით ანაზღაურება იმ ჩინელთა ქონებისა, რომელნიც გაანადგურეს ვლადივოსტოკში არეულობის დროს.

**პარიზი**, 10 ნოემბერი. მთელ მაკედონიას მტრული დამოკიდებულება ემჩნევა ქრისტიანეთა წინააღმდეგ.

**ასტრახანი**, 10 ნოემბერი. შავი ჭირი ისევ მძვინვარებს. ყირგიზის ველის ნარის ნაწილში 7 ნოემბერამდე ავად გახდა 91 და გარდაიცვალა 71 სული. პრიმორსკის ოლქის პირველ ნაწილში მოკვდა 4 კაცი, ხოლო მეორეში—21; კრასნოდარსკის მაზრაში 12 ავად გახდა და თორმეტივე გარდაიცვალა.

**ჰელსინგფორსი**, 10 ნოემბერი. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს საერო და სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე გერარდი.

**კრემენჩუგი**, 10 ნოემბერი. პროგრესიული პარტია შეუდგა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დამზადებას და მიჰმართა მაზრის მცხოვრებთ მალოროსიულ ენაზე შედგენილ მოწოდებით, რომ შეუერთდნენ გლეხები შემუშავებულ პლატფორმას, რომელიც დამყარებულია 17 ოქტომბრის მანიფესტზე.

**ყაზანი**. 10 ნოემბერი „ვოლჟსკი ლისტოკ“-ი იუწყება, რომ 22 ოქტომბერს გაიქცა მარიუპოლის საპატიმროდან ყაზანის ღვთის მშობლის ხატის მომპარავი ჩაიკინი.

**ტოკიო**, 10 ნოემბერი. სეულიდან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ გუშინ-ღამ აჯანყებულ კორეელთა ჯგუფმა დაუწყო ქვების სროლა მარკიზ იტოს და მსუბუქად დასჭრა.

**ვენა**, 10 ნოემბერი. სულთანმა გაფრთხილება მიიღო, რომ ოსმალეთს საზღვაო დემონსტრაციასთან ერთად ბალკანეთის მკვიდრთა აჯანყებაც მოელისო. ამ ჟამად საქმე სახელმწიფოების პრესტიჟზეა დამოკიდებული: იმათი უკან დახევა აღარ შეიძლება და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უნდა მიჰმართონ საგანგებო ღონისძიებასაო.

### „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ნოემბერი

**პეტერბურგი**. რადგანაც მუშათა კითხვა ძლიერ გამწვავდა, ვაჭრობის სამინისტროს მიზნად აქვს დროებითი წესები გამოსცეს გაფიცვებისა და პროფესსიონალურ კავშირების შესახებ,

გრაფ ვიტტემ უარი სთქვა პეტერბურგის სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარეობაზე და ათასი მანეთი შესწირა ხსენებულ საზოგადოებას. მიზეზი უარის თქმისა ისაა, რომ ვიტტეს სრულებით არა აქვს თავისუფალი დრო.

**მოსკოვი**, 9 ნოემბერი. დღის სხდომაზე სიეზდს კამათი ჰქონდა მთავრობასთან დამოკიდებულებაზე. პროფესორმა კოვალევსკიმ დამფუძნებელ კრების წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა და მხარი დაუჭირა რუსეთის მონარქიას. გრაფმა გეიდენმა მხარი დაუჭირა კოვალევსკის და პირდაპირის ხმის მიცემის წინააღმდეგი გახდა. კოსტრომელმა საფონოვმა წინადადება მისცა სიეზდს, შეუერთდეს იმ პარტიებს, რომელთაც თავისუფლება მოიპოვეს. პეტერბურგელმა კრასოვსკიმ—მხარი დავუჭიროთ მთავრობასო. გუჩკოვი წინადადებას იძლევა სოლიდარობა განუცხადონ 17 ოქტომბრის მანიფესტს, ამართლებს სამხედრო წესებს, ითხოვს უკიდურეს პარტიების ჟლეტა-ხოცვაში მონაწილეობის გამოძიებას, წინააღმდეგია დამფუძნებელ კრებისა და უკიდურეს პარტიებთან შეერთებისა. ევგ. ტრუბეცკოი წინააღმდეგია სამხედრო წესებისა და მხარს უჭერს პოლონელებს.

**სტამბოლი**. პორტამ პასუხი გაუგზავნა სახელმწიფოებს მაკედონიაში საფინანსო კონტროლის შემოღების შესახებ. ამ პასუხში იგი უარს ჰყოფს მოთხოვნათა ყველა მუხლებს და მოტივად ოსმალთა საზოგადო აზრი მოჰყავს. პორტა თანახმაა, მხოლოდ ორის წლით გააგრძელდეს სამოქალაქო აგენტების მინდობილებების ვადა მაკედონიაში.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. საბირჟო კომიტეტმა მხურვალე დეპეშა გაუგზავნა ვიტტეს, სადაც იგი უსურვებს გრაფს გამარჯვებას და მზადა ვართ,—ამბობს, მხარი დავუჭიროთ მთავრობას, რითიც შემეძლებაო. კომიტეტი სთხოვს ვიტტეს, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს გარანტია 17 ოქტომბრის თავისუფლებათა, რათა ამით მთავრობამ დაამტკიცოს, რომ მისი სიტყვა შეურყეველია, რომ კონსტიტუცია განხორციელებულ იქნებაო.

11 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. გენ. მიშჩენკო დაინიშნა კავალერთა შეერთებულ კორპუსის უფროსად.

**ვლადივასტოკი**, 10 ნოემბერი. წესიერება აღდგენილია, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში შედის. სათადარიგო ჯარის-კაცებს თანდათან ითხოვენ შინ. პორტში დიდი გამოცოცხლებაა. მუდამ დღე მოდის საქონლით დატვირთული გემები. გადმოტვირთვას ხელს უშლის ადგილების უქონლობა. ბევრს კერძო საწყობებს ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს არეულობის დროს. საწყობებს ნაპირებზე მართავენ. ომის გათავების გამო ბევრი კაპიტალისტი მოაწყდა აქაურობას. სავაჭრო ფირმებს სულ ემატება. ქალაქში თავისუფალი ბინები აღარაა. ბევრი ოჯახი ერთს ბინაზე თავსდება. სასტუმროები თითქმის ყველა გადაჭედეს. მანჯურიაში გაძლიერდა საქონლის გადატანა. გზები დაჭერილია სამხედრო მატარებლებით და კერძო პირთ ცოტა ვაგონები რჩება.

**მოსკოვი**, 10 ნოემბერი. ღამის სხდომაზე დერობერტი დაჟინებით ითხოვდა, რომ კაბინეტში პატივსაცემი პირები შესულიყვნენ და რეზოლიუციაში შეეტანათ პოლონეთის ავტონომია. ფაილშევიჩი ითხოვს კავკასიისა და, საზოგადოთ, განაპირა ქვეყნების ავტონომიებს. კუზმინ-კარავაევი თავის რეზოლიუციაში წინადადებას იძლევა, განემარტოს ყველა კავშირებსა და მთავრობას, სიეზდის სახელით, რომ იგი მზადაა იმუშაოს რუსეთის სახსნელად და ამოირჩიონ კომისია სიეზდის წევრებისაგან მთავრობის დასახმარებლად. პეტრუნკევიჩი თხოულობს, რეზოლიუციაში შეტანილ იქნეს მოთხოვნილება ადმინისტრაციისა და პოლიციის გამოცვლის შესახებ, რადგანაც შეუძლებელია ახალ ღვინის ძველ გუდებში ჩასხმაო. ორატორს სწამს, რომ ვიტტე მართლა გაიყვანს რეფორმებს. „თავის სიტყვაშიო—სთქვა პეტრუნკევიჩმა—გუჩკოვი ითხოვდა არა მარტო პოლიტიკურის, არამედ მძარცველების ამნისტიას. გუჩკოვს მინისტრობას აძლევდნო, ამბობდნენ, მაგრამ მისი კანდიდატურა არ განხორციელდა. აშკარაა, ვიტტემ გაიგო, რომ მას საქმე ძველებურ შეხედულობის კაცთან აქვს და საუკეთესოდ სცნო მარტოკა მუშაობა. მაშასადამე, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რეფორმების გატარება ცხოვრებაში.

**ვარშავა**, 10 ნოემბერი. ოფიციალურის ცნობით, პოლონეთში მღელვარება ისევ ისაა. რადომისა, სუვალკის და პეტროკოვის გუბერნიებში მცხოვრებლები ანგრევენ ღვინის დუქნებსა, საგმინო სამმართველოებსა და სკოლების შენობებს, სჩეხავენ სახელმწიფო ტყეებსა და უარს ამბობენ სახელმწიფო გადასახადზე.

**ლონდონი**, 10 ნოემბერი. ხვალ მოხდება მინისტრების ბჭობა. ელოდებიან, რომ პარლამენტს დაითხოვენ ან კაბინეტი გავა სამსახურიდან.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**.

# განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—15).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | |
|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოგმა ბახნასი. მ. ჯ.შ. | — 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — 50 |
| ბნელი, მოთხრობა—მელანიასი | — 20 |
| ალ. ყაზბეგის I, ტომი | 1 — |
| II და III ტომი თითო | 1 — |
| ილ. ჭავჭავაძის I ტომი | — 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნად | — 80 |
| სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა | — 10 |
| სიბრძნე-სიცრუე – საბა სულხან ორბელიანისა | — 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო | — 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — 20 |
| აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა | — 55 |
| სიბრძნე ბალავარისა | — 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — 10 |

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ მის დასწრებით, 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით შემდეგი საქმე: არამიანცის სახელზე ასაშენებელ საავადმყოფოში ბეტონის თაღების გასაკეთებლად, სულ 450 ოთხკუთხი საჟენის სივრცეზე. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა, ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში დილის 10-დან 2 საათამდე. (1—1)

საამდროვო წიგნები

| | | |
|---|---|---|
| А. Оларъ. | Политич. исторія франц. революціи. Происхожденіе и развитіе демократіи и республики. (1789—1804) | 3 р. |
| Н. Бельтовъ. | (Плехановъ). Къ вопросу о развитіи монистическ. взгляда на ист. | 1 р. 50 к. |
| К. Марксъ. | Капиталъ. Критика политич. экономіи, томъ первый | 3 р. |
| „ | Гражданская война во Франціи | 15 к. |
| „ | Рѣчь о свободной торговлѣ | 8 к. |
| „ | Кэри и Бастіа. „Марксъ объ искусствѣ“ | 10 к. |
| „ | Наемный трудъ и Капиталъ | 8 к. |
| „ | Заработная плата, цѣна и прибыль | 20 к. |
| „ | Итоги 48-го года | 10 к. |
| „ | Современная борьба классовъ. (Коммунистическій манифестъ) | 8 к. |
| | О коммунизмѣ. Переводъ и предисл. Г. Плеханова. (коммун. маниф). | 20 к |
| Фр. Энгельсъ. | Философія, политическ. экономія, соціализмъ. (Анти-Дюрингъ) | 1 р. 50 к. |
| „ | Происхожденіе семьи, собственности и Государства | 50 к. |
| „ | Кресгьянскій вопросъ во Франціи и Германіи. подъ ред. и съ предисл. Плеханова | 15 к. |
| Фер. Лассаль. | Томъ первый | 1 р. 25 к. |
| „ | О сущности конституціи | 6 к |
| „ | Принципы труда въ современномъ обществѣ | 10 к. |
| „ | Гласный отвѣтъ центральному Комитету | 10 к. |
| К.Каутскій. | Соціальный переворотъ. На другой день... Подъ ред. Н. Ленина | 20 к. |
| „ | Соціальная реформа и на другой день послѣ соціальн. реформы. Изд. „д. р.“ | 25 к. |
| „ | Экономич. ученіе К. Маркса. Съ предисловіями автора къ 1-му и 8-му нѣм. изданіямъ. Полный перев. съ 9-го нѣм. изданія. Под ред. проф. В. Желѣзнова | 45 к. |
| „ | Экономическое развитіе и общественный строй. (Эрфуртская программа) | 20 к. |
| „ | Національность нашего времени | 6 к. |
| „ | Развитіе государственнаго строя на Западѣ | 6 к. |
| „ | Кризисъ Австріи. (Языкъ и нація) | 10 к. |
| „ | Нашъ взглядъ на патріотизмъ и войну | 10 к. |
| „ | Ирландія | 7 к. |
| „ | Программа германской рабочей партіи | 10 к. |
| „ | Колоніальная политика въ прошломъ и настоящемъ | 40 к. |
| „ | Изъ исторіи культуры. Платоновскій и древне-христіанскій коммунизмъ | 20 к. |
| „ | Фридрихъ Энгельсъ, его жизнь и дѣятельность | 10 к. |
| „ | Воспоминанія. (Автобіографія). Переводъ В. Засуличъ | 5 к. |
| А. Бебель. | Женщина и Соціализмъ | 1 р. |
| „ | Положеніе женщины въ настоящемъ и будущемъ | 8 к. |
| „ | Антисемитизмъ и Коллективизмъ въ Германіи | 5 к. |
| Н. Г. Чернышевскій. | Ром. Что дѣлать? | 1 р. 50 к. |
| А. Богдановъ. | Краткій курсъ экономической науки | 1 р. |
| „ | Изъ психологіи общества | 80 к. |
| „ | Эмпріомонизмъ. Статьи по философіи | 80 к. |
| „ | Познаніе съ исторической точки зрѣнія | 1 р. |
| В. Либкнехтъ. | Отъ обороны къ нападенію | 10 к. |
| „ | Наши цѣли | 7 к. |
| „ | Карлъ Марксъ. Біографическій очеркъ | 15 к. |
| „ | Робертъ Оуэнъ, его жизнь и обществен. дѣятельность | 5 к. |
| Б. Лафаргъ. | За и противъ Коммунизма | 15 к. |
| „ | Поклоненіе золоту | 5 к. |
| „ | Мои воспоминанія о К Марксѣ | 10 к. |
| „ | Благотворительность | 8 к |
| Н. Ленинъ. | Аграрный вопросъ и „Критики“ Маркса | 15 к. |
| Шиппель. | Современная бѣдность и современ. перенаселеніе | 1 р. 25 к. |
| „ | Профессіональные союзы рабочихъ | 15 к. |
| Эмиль Вандервельдъ. | Промышленное развитіе и общественный строй | 50 к. |
| „ | Притягательная сила городовъ | 40 к. |
| „ | Золотая свадьба международнаго соціализма | 6 к |
| В. Зомбартъ. | Экономическіе и соціальн. вопросы въ современ. обществѣ | 10 к. |
| Бр. В. Желѣзновъ. | Къ реформѣ современной теоретической Экономіи | 5 к |
| Л. Аксельрадъ. | (ортодоксъ). О „проблемахъ идеализма“ | 15 к. |
| Р. Зейдель | Нормальный рабочій день | 5 к. |
| Ж. Гэдъ | Коллективизмъ. Перев. подъ ред. В. А. Поссе | 6 к. |
| Ж. Лонгэ. | Соціализмъ въ Японіи Перев. В. Засуличъ | 10 к. |
| Кл. Цеткинъ. | Женскій вопросъ и Германское студенчество | 8 к. |
| К. Эйснеръ. | В. Либкнехтъ. Его жизнь и дѣятельность | 15 к. |

ზემოხსენებულ წიგნების გაწერა შეიძლება ფასდადებით (наложн. платеж.). წიგნის მაღაზიის ადრესი: ქ. ტფილისში გიროჩნი ქ., № 7. (Кирочная ул. № 7) В. Гадилія.

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში „სხივის“ ამხანაგობის გამოცემული **პირველი წიგნი** ივ. გომართელის

ჯუზეპე გარიბალდი

ფასი ორი შაური

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—6.—4)

ტელეფონი № 1051.

პირველი საწყობი

შეშისა

✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან. (10—8)

**გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ულუხანლუ-სპარსეთის საზღვარის რკინის გზის ამშენებელი გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს საქონლის სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის დროებით წესრიგს სადგურებ ნახიჩევანსა და ულუხანლუს შუა, რომელიც დაიწყო 29 ოქტომბრიდან ამა წლისა

საქონლის —სამგზავრო მატარებელი № 3 სადგურიდან ულუხანლუ სადგურამდის ნახიჩევანი II და III კლასის ვაგონებით სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით

| №№ ვერსისა | სივრცე სადგურებ შუა | სადგურები | დრო გზაში | მოსვლა | გაჩერება | წასვლა | შეხვედრა, გასწრება და გაშვება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ულუხანლუდან | | | | | | | |
| | | ულუხანლუ | | | | 7.10 | დილას |
| 16 | 16 | კამარლიუ | 48 | 7.58 | 5 | 8.03 | |
| 37 | 21 | არარატი | 1.03 | 9.06 | 5 | 9.11 | |
| 49 | 12 | სადარაკი | 36 | 9.47 | 5 | 9.52 | |
| 73 | 24 | ნორაშენი | 1.12 | 11.04 | 20 | 11.24 | |
| 98 | 25 | შახტახტა | 1.23 | 12.47 | 20 | 1.07 | შეხვედრა მატარებელთან № 16 |
| 135 | 37 | ნახიჩევანი | 3.04 | 4.11 | დღით | | |

საქონლის —სამგზავრო მატარებელი № 4 სადგურიდან ნახიჩევანი სადგურამდის ულუხანლუ II და III კლასის ვაგონებით კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

| №№ ვერსისა | სივრცე სადგურებ შუა | სადგურები | დრო გზაში | მოსვლა | გაჩერება | წასვლა | შეხვედრა, გასწრება და გაშვება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნახიჩევანიდან | | | | | | | |
| | | ნახჩევანი | | | | 6.00 | დილით |
| 135 | 37 | შახტახტა | 3.04 | 9.04 | 20 | 9.24 | |
| 98 | 25 | ნორაშენი | 1.23 | 10.47 | 20 | 11.07 | |
| 73 | 24 | სადარკი | 1.12 | 12.19 | 5 | 12.24 | შეხვედრა მატარებელთან № 15 |
| 49 | 12 | არარატი | 36 | 1.00 | 5 | 1.05 | |
| 37 | 21 | კამარლიუ | 1.03 | 2.08 | 5 | 2.13 | |
| 16 | 16 | ულუხანლუ | 48 | 3,01 | დღით | | |

რომ მოსვლისა და წასვლისა ნაჩვენებია პეტერბურგის დროს მიხედვით, რომელიც უკან არის ტფილისისაზედ 58 წუთით. (4—4)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.